რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ოთხშაბათი, 31 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. სასტრ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ იხსნავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 24 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 24

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები
1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი
2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი
3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ.
ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უცვლელ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА"
ამხ. და თანამგრძნობთ ვთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

გულ დათუთქულნი ესტატე ნიკოს ძე, თედოტე და ნიკოლა დეკანოსიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველი საყვარელი შვილისა და მეორენი უძვირფასესი ძმის მოსკოვის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტ.

ერმინე ესტატეს ძე დეკანოსიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 თებერვალს დილით ხუთშაბათს. სოფ. ღარიხევში, სად. ბელაგორი. (2—2)

იმ თვის თებერვლის 6 დღითი სამშაბათს 12 საათზე ს. მეორე ნიგორზლევას წმინდა გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ დაკარგულის თფილისის კულტ.-ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფის

ვლასი ანტონის ძე არდიშვილის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი: მამა ანტონ ტალხანის ძე არდიშვილი, დედა ელისაბედ ადრიშვილისა, ბიძა იოსებ ტალ. არდიშვილი, ბიცოლა ტერეზი არდიშვილისა, მამიდა პელაგი ტალ. ასული არდიშვილი, მამიდაშვილები: თებოლა და ედუკი უშვერიძეები.

საკომერციო ცოდნის კურსები
ა. ნ. ინწკირველისა
ბათუმში.
კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ დღე საღამოობით 5—8 საათ. კურსებზე მიიღება ყველანი უმაღ. პირველდაწყებით სასწავლებლის ცოდნით. კურსებზე ასწავლიან: საერთო ბუხგალტერიას, კომერციულ ანგარიშს, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო და სათამასუქო სამართალს, საბანკო ბუხგალტერიას, კოოპერაციას—საკრედიტოსა და მომხმარებელს.
მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან მარინის ქალთა სასწავლებ. შენობა ში.
სწავლის ფასი 200 მანეთი.
კურსებზე ჩაწერა შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში გამგეობის მდივანთან 12—2 საათამდე. (6—3)

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავადმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.
სახალხო სახლ. არს. ქართვ. წარმ. მმართველი წრე ხუთშაბათს 1 თებერვალს 1918 წ.
ბენეფისი
რეჟისორი კ. შათირიშვილისა.
წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა
№ 21 †
ნომერი ოცდაერთი ჯვრით
დრამა 4 მოქმ. ია ეკალაძესი. მოქმედება სწარმოებს 1907 წ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ამბ. ივერელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღამოს 7 საათ. ადგილების ფასი 3 მ. 90-დან 70 კ-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათ. წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.
შემდეგი წარმოდგენა 4 თებერვალს.
რეჟ. კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია. (2—1)

სასურსათო კრიზისი

სასურსათო კრიზისის გამო საზოგადოების ერთი ნაწილი პროტესტს აცხადებს და მათ შორის უკმაყოფილება იზრდება. ასეთ უკმაყოფილებით უნდათ ისარგებლონ კონტრ-რევოლიუციონურმა ელემენტებმა და ვაჭარ-სპეკულიანტებმა. პირველები ფართო საზოგადოებაში ენერგიულ აგიტაციას ეწევიან და მათ რევოლიუციონურ მთავრობისა და თვითმართველობის წინააღმდეგ ამხედრებენ. არსებულ სასურსათო კრიზისის სიდუხჭირეს ზევით დასახლებელ ორგანოებს აბრალებენ და მით მთელ რევოლიუციას სახელს უტეხენ.

თვით ვაჭარ-სპეკულიანტებიც დიდ უკმაყოფილებას იჩენენ და ისინი პურის მონოპოლიის გაუქმებას მოითხოვენ. გაუმაძღარ სპეკულიანტებს პურის მონოპოლია არ მოსწონთ და მის მაგიერ „თავისუფალ" ვაჭრობას მოითხოვენ, რათა ამ გზით სხვადასხვა ადგილებში პური და სიმინდი შეიძინონ და მერე საზღაპრო ფასებში ყიდონ. პურისა და სიმინდის მონოპოლია მათთვის შემაფერხებელი მოვლენაა და საშუალება ესპობათ ფართო მომხმარებელი უმოწყალოთ ყვლიფონ.

აი ის მთავარი მოტივები, რომლის მეოხებითაც, როგორც კონტრ-რევოლიუციონერები და ვაჭარ-სპეკულიანტები ასე მედგრათ ილაშქრებენ არსებულ რევოლიუციონურ ორგანოების წინააღმდეგ და ამგვარათ სახელს უტეხენ ფართო საზოგადოებაში. მაგრამ შეგნებული დემოკრატია არსებულ სასურსათო კრიზისს უფრო სისწორით უყურებს და მას სისწორით გათვალწუნებული აქვს მისი ძირითადი მიზეზები. მან კარგათ იცის, რომ თანამედროვე სასურსათო თუ სამრეწველო-სამეურნეო კრიზისი მსოფლიო ომის საშინელებამ გამოიწვია და უკანასკნელთან იგი მჭიდროთ შეკავშირებულია. ვინ არ იცის, რომ ოთხი წლის წარმოუდგენელმა ომმა წარმოების ყველა დარგში არაჩვეულებრივი დეზორგანიზაცია გაამეფა და ყოველგვარი ნაწარმოები აბსოლიუტურათ (საერთოდ) შემცირდა. პური, ხორცი, ჩაი-შაქარი, ტანთსაცმელი და ფეხთსაცმელი, საწარმოვო იარაღები, ცოცხალი ძალა დაცოტავდა და სახალხო ქონებამ უზომოთ იკლო. ამას ზედ დაერთო მიმოსვლის საშუალების შეფერხება, რკინის გზების მოშლა და სხვა ამისთანები. გარდა ამისა ამიერ-კავკასიას ერთი დიდი უბედურება თავს დაატყდა. უპასუხისმგებლო ბოლშევიკების „მთავრობის" გამოცხადების შემდეგ მთელი ამიერ-კავკასია ეკონომიურათ და ფინანსიურათ რუსეთს მოსწყვიტეს. ჩვენსა და ცენტრალურ რუსეთს შორის მთელი რიგი მთავრობები შესდგა, რომლებთანაც ჩვენ მჭიდრო ეკონომიური კავშირი გვქონდა. ჩრდილოეთ კავკასია, საიდანაც საარსებო პურს ვღებულობდით, ანარქიის ალში გახვეული და იქიდან პურს თითქმის ვეღარ ვღებულობთ. ადგილობრივი პური კი ჩვენ არც ომის დაწყებამდე გვქონია და მით უმეტეს არ გვექნება ეხლა. ყველა ერთად აღებული გარემოება ჩვენს მდგომარეობას აუარესებს და ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მთავრობას და რევოლიუციონურ ორგანოებს უძნელდებათ ხალხის სურსათით დაკმაყოფილება. ხორბლის მონოპოლიის გამოცხადება, მისი მცხოვრებთა შორის თანასწორათ განაწილება, აგრეთვე სხვა სასურსათო საგნების ამ წესით გაყიდვა სწორი და სამართლიანი გზაა. მაგრამ ამასაც მრავალი დაბრკოლებები წინ ეღობება. ჯერ პირველი ის, რომ მონოპოლიის ცხოვრებაში გატარება დამწიფებული და განვითარებულ ეკონომიურ პირობებს მოითხოვს და ჩვენ კი წვრილი წარმოების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ამას ზედ ერთვის ყველა სფეროში ანარქიისა და დეზორგანიზაციის გამეფება.

რევოლიუციის ხანაში საზოგადოთ დადებითი მუშაობა და დადებითი საქმის გაკეთება ნელი ნაბიჯით ხდება. რევოლიუცია ნგრევის პროცესია და ნანგრევებზე ახალის აშენება ხდება მაშინ, როცა რევოლიუციონური წესი სავსებით დამყარდება და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ხოლმე.

ასეთი წესი ჯერ არ დამყარებულა და მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის ძალა აქეთ არის მიმართული, რომ იგი განმტკიცდეს. ამას ზედ დაერთო კავკასიის ფრონტიდან მილიონობით ჯარის ერთბაშათ სახლში წასვლა, რომელმაც ამიერ-კავკასიის ეკონომიური, ფინანსიური, სასურსათო და მიმოსვლის საქმე უფრო მეტ გაჭირვებაში ჩააყენა.

ამის მერე შეგნებულ დემოკრატიისათვის გასაგებია, თუ რა მძიმე პირობებში უხდება ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ ორგანოებს სასურსათო საკითხის მოწესრიგება ჲ ხალხის ყოველგვარ მოთხოვნილების ნორმალურათ დაკმაყოფილება. ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ არ რევოლიუციონური დემოკრატია და მისი რევოლიუციონური ორგანოები ვერ შესძლებდენ ამ მძიმე პირობებში მეასედის გაკეთებას, რასაც აკეთებს არსებული რევოლიუციონური ორგანოები. მართალია „ჭეშმარიტი სოციალისტები" ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ ორგანოებს კონტრ-რევოლიუციონერების სახელით ნათლავენ, მაგრამ მათი ასეთი შხამ-მორეული ლანძღვა დემოკრატიას სახელს ვერ გაუტეხს და ხალხის თვალში ნდობას ვერ დაუკარგავენ მათ ბანს აძლევენ და ერთგულათ ეხმაურებიან კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები და ვაჭარ-სპეკულიანტები.

თვით რევოლიუციონური დემოკრატია მტკიცეთ სდგას და იგი ყოველ ღონეს ხმარობს სასურსათო კრიზისი თავიდან აიცილოს და ხალხის არსებითი მოთხოვნილება დროს შესაფერათ დააკმაყოფილოს. რევოლიუციონურ ორგანოებმა და თვითმართველობებმა უნდა მედგრათ განაგრძონ არჩეული გზა, სურსათის მონოპოლია ცხოვრებაში სისწორით გაატარონ და ბნელ ძალებს საშუალება არ მისცენ საკუთარი საქმე აკეთონ. ამიტომ სასურსათო კომიტეტებმა და რევოლიუციონურმა ორგანოებმა თავიანთი მოქმედება უნდა გააორკეცონ, ანარქია და ბნელი ძალების მოქმედება ჩაახშონ და მით ხალხს გაუადვილონ არსებულ სასურსათო კრიზისის გადატანა. მტკიცე რევოლიუციონური მთავრობისა და რევოლიუციონური წესის დამყარება მთავარი საშუალებაა, რომელიც სხვა უბედურებასთან ერთად სასურსათო კრიზისსაც მოსპობს.

ძველი დაწესებულებები

რევოლიუციამ ერთი დაკვრით დაანგრია მეფის ტახტი და მასთან დაკავშირებული უმაღლესი დაწესებულებები: ძველი მინისტრები და მთავარ-მართველები გადააყენეს და ციხეებში ჩასვეს, ხოლო მათი ალაგი ახალმა პირებმა დაიკავეს. ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ მართვა გამგეობის ძველი წესები მოისპობოდა და ახალი ცხოვრება დადგებოდა.

სინამდვილემ არ გაამართლა ასეთი მოლოდინი. ერთის მხრით ისევ ძალაში დარჩა მცხოვრებთა ინტერესების აბუჩათ აგდება, მექთამეობა და სხვა ათას გვარი ბოროტება. მეორე მხრით ძველი მექანიზმი სრულიად მოიშალა, მარა ის შიში და მოკრძალება, რომელიც მოხელეებს აიძულებდა ნაკისრი მოვალეობა შეესრულებიათ, დაირღვა დისციპლინა, რომელიც, თუმცა ნაძალადევი იყო და საქმის სიყვარულს და მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნებას არ ემყარებოდა, მაგრამ არაობას მაინც სჯობდა.

რა არის მიზეზი? როგორ შეიძლება უბედურების თავიდან აშორება?

რასაკვირველია, თავი და თავი მიზეზი ჩვენი უკულტურობაა. როგორც რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ძლიერი მადა საკმაო არ გახდა გერმანიის დასამარცხებლათ და ტეხნიკის ჩამორჩენამ რუსეთის თავგანწირული ჯარი სამარცხვინო დამარცხებამდე მიიყვანა, ისე მეფის ტახტის დანგრევამ და ჩვენმა აღფრთოვანებამ ვერ მოგვცა განახლებული მოქალაქობრივი ცხოვრება. ალბათ ათეული წლები იქნება საჭირო, სანამ ჩვენი საერთო განვითარება იმ დონემდე ამაღლდებოდეს, რომ გერმანიის ან ინგლისის სამოქალაქო ცხოვრებას რამდენიმეთ მაინც მიუახლოვდეთ.

მაგრამ არის ორი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ავი სულივით დასწოლია ახალ წყობილებას და გასაქანს არ აძლევს. მოსპეთ ეს ორი მიზეზი და ჩვენი ნორჩი სამოქალაქო ცხოვრება ცოტათი მაინც ჩადგება სწორ კალაპოტში.

ერთი ამ მიზეზთაგანია მრავალ დაწესებულებათა ხელუხლებლათ დატოვება და მრავალ ძველ მოხელეთა სამსახურში დარჩენა.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

რევოლიუციამ მოსპო წოდებრივი უპირატესობანი, ამ რამდენიმე კვირის უკან ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტიც კი გამოვიდა წოდებათა და უპირატესობათა გაუქმების შესახებ. მიუხედავათ ამისა, მრავალი წოდებრივი დაწესებულება ხელუხლებელი დარჩა. ასეთია მაგალითად, ინსტიტუტი მომრიგებელ შუამავალთა და საგლეხო საკრებულოები, ანუ როგორც ხალხში ეძახიან —„მიროვიე პოსრედნიკები" და „კრესტიანსკი პრისუტსტვიები". აგერ თერთმეტი თვეა, რაც რევოლიუციამ ეს დაწესებულებები ცხოვრების მეტ ბარგათ გახადა. მაგრამ აქ მჯდომი მოხელეები კიდევ განაგრძობენ ხაზინიდან ჯამაგირების მიღებას და ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენი სოფლის მუშაკნი—სოფლის მილიციონერები და კომისრები ან სულ არ ღებულობენ ჯამაგირს ან და თუ იღებენ, ისე ცოტას, რომ არსებობა უჭირთ. ჩვენ არ შევუდგებით სხვა დაწესებულ. ჩამოთვლას, რადგან ვფიქრობთ, რომ საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სხვა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა თითონაც კარგათ იციან არსებობა სხვადასხვა უსარგებლო დაწესებულებათა, რომელნიც აუარებელ ფულს ნთქავენ და საქმეს კი არ აკეთებენ, პირიქით, ამ დაწესებულებებში მჯდომი მოხელენი ყოველ მოხერხებულ შემთხვევით სარგებლობენ, რომ დემოკრატიაში არევ-დარევა შეიტანონ და უწესოება გამოიწვიონ. დაუკვირდით პურის საყიდლათ რიგში მდგომ ხალხს, ყური დაუგდეთ ტრამვაის და რკინის გზის მგზავრებს—იქ თქვენ მრავალს მოხელეს შეხვდებით, რომელნიც აგიტაციას ეწევიან ახალ წყობილების წინააღმდეგ. განსაკუთრებით რუსი მოხელეები არიან უკმაყოფილონი. ესენი ყოველ გზა ჯვარედინზე გაიძახიან ადგილობრივ მკვიდრთა თვითგამორკვევაზე და განაციონალისტებაზე. ამათ რიცხვშია აუარებელი უსაქმოთ დარჩენილი ოფიცრობა. ყველა ამათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებაა საჭირო, ადგილობრივი მთავრობა არ უნდა მოერიდოს ამ უსაქმო ხალხის დატუსაღებას და ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან გაძევებას. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა სასტიკი ზომები უნდა მიიღონ ყველა იმ დაწესებულებების გასაუქმებლათ, რომელნიც მეტ ბარგათ გამხდარან.

არის როგორც ვთქვით, მეორე მიზეზიც. აქ არევ-დარევა და უმოქმედობა დემოკრატიზმის დროშის ქვეშ ხდება. მაგალითისთვის მოვიყვანთ ორ მნიშვნელოვან უწყებას.

ავიღოთ ფოსტა და მისი მოხელეები. მოუწყობელი იყო ეს დაწესებულება ძველ წყობილების დროს, შიგ ათასგვარი პროვოკატორი იყო მოკალათებული, ბიუროკრატიის სურვილისამებრ ხშირათ კერძო წერილებს ხსნიდენ და სხვ.

საუბედუროთ, რევოლიუციის შემდეგაც ძველი მოხელეები თავიანთ ალაგებზე დარჩენ, გადაყენებულ იქნენ მხოლოდ უფროსები. ამიტომ ბოროტ-მოქმედებამ არა თუ იკლო, პირიქით იმატა კიდეც. მოიგონეთ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობები ხაშურის ფოსტის მოხელეთა ცხოვრებიდან. ისინი თეთრი პურის უქონლობის გამო გაფიცვას აცხადებენ, კერძო წერილებს ხსნიან და სხვ. ხოლო რაც შეეხება მათი მუშაობის ნაყოფიერებას ამის მაგალითს წარმოადგენს ის, რომ გორიდან 20 დეკემბერს ფოსტით გამოგზავნილი წერილი თფილისში მოდის მხოლოდ იანვრის ოცდა ხუთში! მოსამსახურეებმა მშვენივრათ ისარგებლეს რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებით, უფროსების გადაყენება მათ მარჯვეთ გამოიყენეს თავის სასარგებლოთ და შექმნეს კომიტეტები, რომელნიც მარტო იმაზე ზრუნავენ, რომ ჯამაგირები გაიდიდონ და მთავრობას გაფიცვით დაემუქრნენ.

ამ მხრით ყველას მასწავლებელთა კორპორაციებმა გადააჭარბეს. ოლქის მზრუნველის და სარაიონო ინსპექტორების გაგდებით მათაც მოხერხებულათ ისარგებლეს. ეს ვაჟბატონები, რომელნიც ძველი რეჟიმის დროს უსიტყვოთ ასრულებდენ ყოველგვარ განკარგულებას, დღეს ისე გაკადნიერდენ, რომ მხედველობაში არ მიიღეს სახელმწიფოს გაჭირვება და ჯამაგირების დაგვიანებაზე გაფიცვა გამოაცხადეს. ეს კიდევ ცოტაა. მათ რაღაც კასტათ წარმოიდგინეს თავისი ორგანიზაცია, შუაზე მიუვალი კედელი აღმართეს და გამოაცხადეს—ეს ჩვენი ავტონომიური უფლებებიაო. ბევრგან ისე შორს წავიდენ, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციების კანტროლი ამ ახირებულის ავტონომიის შელახვათ გამოაცხადეს. ამ მხრით მათ შეცვლილი სახით აღადგინეს ძველი რეჟიმის წეს-წყობილება: თუ წინეთ რომელიმე ბიუროკრატი განაგებდა დამოუკიდებლად სწავლა-აღზრდის საქმეს და საზოგადოების კანტროლს არ აკარებდა, დღეს ამ ბიუროკრატების ადგილი კოლეგიებმა დაიკავეს და ტყვილათ ფიქრობენ ზოგიერთი მასწავლებლები, ვითომ რუდოლფის უკანტროლო თარეშიდან რამეთი განსხვავდებოდეს მათი ორგანიზაციების მოღვაწეობა. საქმე პრინციპია და ეს პრინციპი გვეუბნება, რომ საზოგადოება თავისი დემოკრატიულ ორგანიზაციების სახით ყოველგვარ დაწესებულებას კანტროლს უნდა უწევდეს.

ამ რიგათ ჩვენ ერთობ ბევრი საქმე გვაძევს გასაკეთებელი. ერთის მხრით დაუყონებლივ უნდა გავაუქმოთ უსარგებლო დაწესებულებები და მუქთა ხორა მოხელეები გავრეკოთ, ხოლო მეორე მხრით უნდა გავსწმინდოთ ყველა დაწესებულებები და იქიდან კასტიური სული განვდევნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება მოუწყობელი დარჩება და დემოკრატიას საბუთი ექნება გვისაყვედუროს: თქვენ დაანგრიეთ მეფის ტახტი, მაგრამ ცხოვრება ისევ არეულ-დარეულია და მოუწყობელიო.

პრესა

გაზეთი „იზვესტია" კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საოლქო ცენტრის ორგანო თვითგამორკვევის უფლებას ასე გვიხსნის:

„თვითოეულ ერს სრული უფლება აქვს ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც მას სურს. მაგრამ არსებულ პირობების მიხედვით ჩვენი დამოკიდებულება თვითგამორკვევის ამა თუ იმ ფორმასთან შეიძლება სხვადასხვანაირი იყოსო", ამიტომ გაზეთს შესასწყნარებლათ მიაჩნია პოლონეთის თვითგამორკვევა და შეუწყნარებლათ კავკასიის ერების, რადგან პოლონეთს რუსეთთან შედარებით უფრო მაღალი კულტურა აქვს, ხოლო ამიერ კავკასიის ერები, პირიქით, უფრო დაბლა დგანან.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ფაქტიურათ არ არის მართალი, ვითომ რუსეთის კულტურა საერთოთ უფრო მაღლა იდგეს ამიერ კავკასიის კულტურაზე. არსებითათ, ჩვენ ვერ შევებრძოლებით ერის თვითგამორკვევას, რაგინდ დაბალ საფეხურზე იდგეს ეს ერი.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ რა ნება გვაქვს, მოვითხოვოთ მაგალითად გერმანიის პოლონეთის თვითგამორკვევა, როცა ეს კუთხე კულტურით გაცილებით დაბლა დგას გერმანიასთან შედარებით. „იზვესტია"-ს ლოღიკა არსებითათ ბურჟუაზიულ მეცნიერების ლოღიკაა. ჩვენი პარტიული პროგრამა აშკარათ გულისხმობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. მხოლოდ ბოლშევიკებმა განმარტეს პროგრამის ეს მუხლი ისე, თითქოს თვითგამორკვევა ნიშნავდეს სოციალიზმის ახლავე დამყარების აღიარებას.

ასე ესმის თვითგამორკვევა „ბრძოლა"-საც. ის სწერს: „ოქტომბრის რევოლიუციამ გახადა შესაძლებელი თვითგამორკვევა. კავკასიის ხალხებმაც ისარგებლეს ამით. მაგრამ პირველ ყოვლისა შეეცადენ თავი დაეხსნათ თვით ოქტომბრის რევოლიუციის ალიდან, **უარეყოთ მისი სოციალური მხარე** და მიეღოთ მხოლოდ ნაციონალისტური თავისუფლება".

ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის ერებს ჯერ არავითარი „ნაციონალისტური" თავისუფლება არ მიუღიათ, რადგან არც ერთს აქ მობინადრე ერს არ განუხორციელებია ეროვნული თვითმართველობა. თუ ბოლშევიკები მაინც

გვისაყვედურებენ, ეს იმიტომ, რომ ლენინის მთავრობა არ დავამყარეთ აქ.

„ბრძოლა“ აქ არ ერიდება აგრეთვე აშკარა პროვოკაციას. ის სწერს: „დამახასიათებელია ქართველ-თათრების ორიენტაცია. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან, შეთანხმებულ მოქმედებას ცდილობენ.

მათ შორის ამართული არიან სომხები, რომლებსაც სხვადასხვა მხრიდან ორივე ეს მხარე ედავება მიჯნებს, ტერიტორიას, გავლენას; აშკარაა, ასეთ პირობებში სომხები იძულებული არიან დასთმონ; მაგრამ რომ ამ დათმობასაც რაიმე საზღვარი დაედოს, ისინიც იძულებული არიან მოკავშირე ეძიონ და რაკი ასეთი ძალა ახლოს არ მოიპოება, შორეულ ძალას აპყრობენ ისინი თვალს. სომხების ორიენტაცია რუსულია“.

„ბრძოლა“ მართალს ამბობს, რომ სომხების, უფრო მართალი რომ ვთქვათ, სომხის პარტიის დაშნაკცუთიუნის ორიენტაცია რუსულია. მაგრამ ჩვენი, ქართველების, ორიენტაციაც ხომ რუსულია. მაგრამ ჩვენში განსხვავებაც არის: ჩვენ ბრმათ არ მივსდევთ ბალშევიკების დაპირებებს, დაშნაკელები კი ამით იკვებებიან, როგორც ერთს დროს ვორონცოვ-დაშკოვის ლოცვა-კურთხევით იყვენ ძლიერნი. ბალშევიკებიც ვერ მიდიან ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკას იქით, როცა ერთის მხარეზე აყენებენ სომხებს და რუსებს, ხოლო მეორე მხარეზე ქართველებს და თათრებს.

ამ შავრაზმულ აგიტაციას ვერ დაფარავს მათ მიერ წერილის ბოლოს მოყვანილი დიდებული სიტყვები: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო. ვორონცოვ-დაშკოვიც მალული ფრაზებით მალავდა თავის პროვოკაციულ მოქმედებას.

სული სულს იცნობსო, ნათქვამია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დაშნაკელების ორგანო „აშხატავორი“ პროტესტს აცხადებს შაუმიანის გაძევების გამო, ხოლო „კავკაზსკი რაბოჩი“ ამ პროტესტს სიამოვნებით ბეჭდავს. „აშხატავორი“ სწერს:

„ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ ფაქტის წინააღმდეგ, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი ცდილობს გააძევოს ან დაატუსაღოს ბალშევიკების მიერ საგანგებო კომისრათ დანიშნული ს. შაუმიანი... ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ამ ანტი-დემოკრატიულ ნაბიჯის წინააღმდეგო“.

ბ. შაუმიანი, რომ ნაციონალისტია, ეს ჩვენ კარგათ ვიცით. მოვიგონოთ, თუნდაც მისი მოქმედება მეორე სათათბიროს არჩევნების დროს. და ამიტომ არ გვიკვირს, რომ ძმებმა ერთმანეთი იპოვეს შაუმიანი და დაშნაკელები! ორნი არიან ტოლნი არიან, ერთად მიდიან მიიმღერიან.

ორიოდე სიტყვა

კვალ და კვალ.

ამ სათაურით „ბრძოლა“ ხშირად ბეჭდავს ხოლმე წერილებს, სადაც უმთავრესად მოთავსებულია იმის ანგარიში, თუ როგორ მიყვება კვალ და კვალ კოჭლი „ბრძოლა“ „ერთობა“-ს.

ერთი ამ გვარი „ანგარიში“ „ბრძოლის“ „კვალ და კვალ“ ბორძიკისა მოთავსებულია მისი 28 იანვრის ნომერში. მოვუსმინოთ:

„ერთობა“-ს უთქვამს: „ბალშევიკებმა გააბატონეს უკვე შექმნილი სიმდიდრის, ნაწარმოების უსისტემოთ განაწილება და ანარქისტულად დარიგებაო“.

„ბრძოლა“ უპასუხებს: „ასეთი რამის ჩმახვა შეუძლია მხოლოდ ადამიანს, რომლის თავი სქელ ბურუსშია გახვეული. აბა ერთ შემთხვევას თუ მოიყვანს ავტორი იმისას, რომ ასეთ განაწილებას ჰქონოდა ადგილი. ვერ მოიყვანს, ვინაიდან ასეთი შემთხვევა არ ყოფილა“-ო.

საქმისთვის იმდენათ საინტერესო არ არის, ჩვენში ჰქონდა თუ არა ადგილი ანარქისტულად სიმდიდრის განაწილებას. ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენში ამ გვარ განაწილებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ განა ეს იმას მიეწერება, რომ ბალშევიკებს შეეძლოთ ასეთი განაწილების მოხდენა და მათ ეს არ ისურვეს?

არა, მათ ანარქისტულად სიმდიდრის განაწილების სურვილი დიდი აქვთ ჩვენშიაც.

ყოველ შემთხვევაში, თუ მათ არ აქვთ ასეთი სურვილი და საქმის უნარი, ხელს არ შეუშლიან ანარქისტებს.

25 იანვრის ნომერში „ბრძოლა“ სწერდა: „თუ ანარქისტები მოვლენ ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამის წინააღმდეგი რა გვექნება“-ო.

ბალშევიკებს, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი არ ექნებათ. ან კი ჯერ-ჯერობით რისთვის მოვლენ ანარქისტები, როცა ბალშევიკები თითონ უმზადებენ მათ ნიადაგს?

ამის მაგალითები რუსეთში მრავალზე უმრავლესია და ამით აიხსნება, რომ რუსეთის ჰორიზონტიდან კიდეც გაქრენ ანარქისტები.

სიმდიდრის ანარქისტულად განაწილების მაგალითს მოითხოვს „ბრძოლა“.

როგორც ვთქვით, ჩვენში არ ყოფილა ასეთი მაგალითი, რაც ჩვენში დემოკრატიის შეგნებით აიხსნება და არა იმით, თითქოს რუსეთის ბალშევიკების ადგილობრივი კუდები ამის წინააღმდეგნი იყვენ.

რუსეთში კი,—მაგალითები რამდენიც გნებავთ, ინებეთ!

ანარქისტულად განაწილებაა სიმდიდრისა მაშ, რა, როცა მემამულის სიმდიდრის გაყოფის დროს გლეხების მიერ ერთ სოფელში მიდის გუთნები, მეორეში—სათესი მანქანები, მესამეში—ცხენები და ხარები და სხვა და სხვა.

და ადგილობრივ ბალშევიკებს, თუ არ შესწევთ ძალ-ღონე ეს ასე მოახდინონ ჩვენში, ისინი წინააღმდეგნი არ არიან „თუ ანარქისტები მოვლენ ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

პირიქით, ისინი მომხრეც კი არიან, რომ ანარქისტები მოვიდენ.

მეტსაც ვიტყვით: ბალშევიკები ანარქისტებს ეპატიჟებიან ჩვენში.

და ამის საბუთს იძლევა „კავკაზსკი რაბოჩი“.

21 ნომერში ეს გაზეთი აუწყებს თავის მკითხველებს შემდეგს: „**ანარქისტ-კომუნისტების ლექცია**. ორშაბათს, 29 იანვარს საქმიო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სამკითხველოს მაღლა სართულში) ანარქისტ-კომუნისტთა ჯგუფი მოაწყობს ლექციას შემდეგ თემაზე: „დამფუძნებელი კრება და სოციალური რევოლიუცია“. შესვლა უფასოა“.

ოღონდაც რომ შესვლა უფასო იქნება, უკეთუ ანარქისტებს ბალშევიკები მოუსმენენ!..

ჩვენ კარგათ გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა დღეს დააყენებენ ბალშევიკების მიერ გარეკილ დამფუძნებელ კრებას ანარქისტები, რაგვარათ დაასურათხატებენ ანარქისტები სოციალურ რევოლიუციას!

ანარქისტების დამფუძნებელ კრებას, მათ სოციალურ რევოლიუციას იმდენი საერთო აქვთ ბალშევიზმთან, რამდენიც, ვთქვათ, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ტაქტიკას ბალშევიკების ტაქტიკასთან, მაგრამ საქმე ხომ ამაში არ არის?!

საქმე ისაა, რომ ბალშევიკების ბრძოლის ანარქისტული მეთოდები ჩვენში სუსტი გამოდგა, ამიტომ ანარქისტებში ეძიებენ მოკავშირეთ ბალშევიკები და წინააღმდეგნი სრულიადაც არ არიან „თუ ანარქისტები მოვლენ“.

ამას ამბობენ მარქსის მოძღვრების მოლაყბენი, რომელი მოძღვრებაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ანარქიზმთან, რომელი მოძღვრებაც არ ამბობს წინააღმდეგი არ ვიქნებით „თუ ანარქისტები მოვლენო“.

პროლეტარიატის გონებრივათ ამაღლება-დაწინაურება (სუბიექტიური პირობები).

ბურჟუაზიის მიერ ორგანიზაციულათ მოწყობილი წარმოების, ცხოვრების პროლეტარიატის ხელში ორგანიზაციულათ გადასვლა, აი მარქსიზმის დედა აზრი.

დღეიდან ბალშევიკების ანარქისტულ მოღვაწეობას, როგორც ხედავთ, ანარქისტული მსჯელობაც დაემატა.

ფრონტიდან მიმავალი ბალშევიკების მუქარა

სარაყამიშის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბალშევიკ შაბალდაევი ელაპარაკა პირდაპირი მავთულით თფილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ვერეშჩაკს.

ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ ნალაპარაკევიდან ზოგიერთი ადგილების მოყვანა:

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა თავის მოქმედების რაიონში სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა შეაჩერა და შემდეგ შეუდგა მოლაპარაკებას.

შებალდაევი. გთხოვთ გვაცნობოთ, რა ზომები მიიღო ამიერ-კავკასიის კომისარიატმა და რკინის გზის კომიტეტმა, რომ აესრულებიათ ჯარის მოთხოვნა სარაყამიშში ვაგონების მიწოდების შესახებ. ჩვენი მოთხოვნის ვადა გუშინ საღამოს 7 საათზე გათავდა.

ვერეშჩაკი. ამ გვარი მოთხოვნა ჩვენ პირველად გვესმის.

შებალდაევი. 25 იანვარს სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, სეიმს და ეროვნებათა საერთო საბჭოს, რომ მათ განემარტათ სარაყამიშში ვაგონების მიწოდების შეწყვეტის მიზეზი. დეპეშა შეიცავდა აგრეთვე ულტიმატუმის მქონე წინადადებას, რომ ყოველ დღე კომისარიატს მოეწოდებია მატარებლების სამი შემადგენლობა კომისარიატს წინადადება ჰქონდა მიცემული პასუხი გაეცა 24 საათში და დაეწყო მატარებლების გამოგზავნა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი მოქმედების თავისუფლების უფლებას იტოვებდა.

ვერეშჩაკი. ამ შინაარსის დეპეშა აქ არ მიგვიღია. ვაგონების მოწოდების შეწყვეტის მიზეზია აღმოსავლეთ კავკასიაში მომხდარი ამბები. იმედი გვაქვს იქ მომხდარ ამბებს ახლო ხანში ბოლოს მოვუღებთ. მიმავალი 11 ეშელონი უკვე გასცილდა სად. ბალაჯარას. ამ ამბების გამო და აგრეთვე იმის მიზეზითაც, რომ ბალაჯარის სადგურიდან მიმავალი ეშელონები ვაგონებს არ აბრუნებენ, არამედ ამ ვაგონებით პირდაპირ მიდიან კავკავის რკინის გზით რუსეთში, აქ ჩვენი ვაგონების რიცხვი დღითი-დღე მცირდება. ამიტომ არ შეგვიძლია მოგაწოდოთ საკმაო ვაგონები. ამას გარდა. ეშელონებიც იგვიანებენ გზაში. მაგ., მიმავალი 11 ეშელონი 7 დღე იდგა. ერზერუმის პოლკს აგერ 11 დღეა მატარებელი არ გაუნთავისუფლებია.

სამგზავრო მატარებლებითაც მრავლად მოდიან თფილისში ჯარისკაცები. აქ პოულობენ რა ცარიელ ვაგონებს, სხდებიან შიგ და მიემგზავრებიან ბათუმში თუ ბაქოში. ჩვენ ყოველივე ზომებს ვხმარობთ, რომ რაც შეიძლება ადრე გავამგზავროთ ჯარები. საგანგებოთ გავგზავნეთ ჩვენი წარმომადგენელი, რომ ცარიელი ვაგონები დააბრუნონ კავკავის რკინის გზიდან და სხ. უკეთუ თქვენ ჩაერევით რკინის გზის ადმინისტრაციის და მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებაში—ალექსანდროპოლში და ყარსში შეაჩერებთ მატარებლებს, ზარალის მეტს ეს არას მოიტანს. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოთ დაკავებული მატარებლები. თუ თქვენ თქვენის ნებით შესცვლით რკინის გზის ადმინისტრაციის განკარგულებებს, ჯარების გადაყვანის საერთო წესს დაარღვევთ და ეს შედეგს არ მოგვცემს კარგს. ამას მოითხოვს აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტი.

შებალდაევი. ჩვენი წინადადება იყო სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის სრულიად აღკვეთა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, რომ ფრონტზე მყოფი ჯარები თფილისამდე მაინც მიგვეყვანა. გთხოვთ გვაცნობოთ: აასრულებთ თუ არა ჩვენი მოთხოვნა მატარებელთა პირველი შემადგენლობის გამოგზავნის შესახებ. გთხოვთ სწორი ცნობა მოგვაწოდოთ ვაგონების რიცხვის აღნიშვნით.

ვერეშჩაკი. შამხორში მომხდარმა ამბებმა იმდენათ არივ-დარია საქმე, რომ ასე მრავლად ვაგონების მიწოდება ძნელია. თუ სახეში მივიღებთ გზაში ეშელონების მიერ თავისი ნებით ვაგონების დაკავებას და აგრეთვე თფილისის მიდამოებში სურსათის სიმცირეს, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ისე გავგზავნოთ ეშელონები, რომ მათ არ მოუხდეთ თფილისში შემოსვლა და არც სადგურებზე იქნან შეჩერებული. ამ ჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სიწყნარეა და უკეთუ გამზადებულ ეშელონებს თქვენ არ შეაჩერებთ მანდ, საქმე სიჩქარით წავა.

შებალდაევი. ხვალ დილის 10 საათზე სწორი ცნობა მოგვეცი სარიყამიშში გამოგზავნილი ვაგონების შესახებ. უკეთუ ეს ჩვენი მოთხოვნა არ იქნება ასრულებული, ულტიმატუმს წარვუდგენთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

ვერეშჩაკი. ულტიმატუმი თავისთვის შეინახე და მე მიპასუხე კითხვებზე.

შებალდაევი. ამის შემდეგ თქვენთან ყოველგვარ ლაპარაკს ვსწყვეტ.

დამფუძნებელი კრების უკანასკნელი ჟამი

მემარცხენე ესერის კარელინის გაცხადების შემდეგ, რომ ჩვენ ბალშევიკებთან ერთათ გავდივართ ამ კრებიდან და მთელი ჩვენი ძალღონე გადაგვაქვს საბჭოებში სამოღვაწოთ მშრომელი კლასის სასარგებლოთ.

ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარე ჩერნოვმა განაგრძო მიწის საკითხის შესახებ პროექტების კითხვა. ამ დროს ჩერნოვთან მოულოდნელათ მიდის მატროსი, რომელიც დაჰკრავს რა მას მხარზე ხელს, აცხადებს:

მე მივიღე ინსტრუქცია, რომ გაუწყოთ თქვენ, რათა ამ კრების დამსწრეებმა ყველამ დასტოვოს კრება, ვინაიდან დარაჯნი დაიქანცენ.

ჩერნოვი. რა ინსტრუქციაა, ვისგანაა?

მატროსი. მე თავრიდის სასახლის დაცვის უფროსი ვარ. ინსტრუქცია მაქვს კომისრისაგან.

ჩერნოვი. დამფუძნებელი კრების ყველა წევრებიც კი დაიღალენ, მაგრამ არავითარ მოქანცვას არ შეუძლია მიწის საკითხის შესახებ პროექტის წაკითხვის შეწყვეტა. (დამსწრე საზოგადოება საშინლათ ყვირის: „კმარა, კმარა“ გაიძახიან). ჩერნოვი სიტყვას განაგრძობს. ის ამბობს: დამფუძნებელი კრება დაიშლება იმ შემთხვევაში, უკეთუ მასზე ძალადობა იქნება ნახმარი.

მატროსი. მე გთხოვ დასტოვოთ დარბაზი.

ჩერნოვი. შემოტანილია წინადადება შეწყვეტილ იქნეს კრება და მიღებულ იქნას უკამათოდ წაკითხული ნაწილი ძირითადი კანონისა მიწის შესახებ, დანარჩენი ნაწილი ამ საკითხისა გადაეცეს კომისიას.

კენჭის ყრით წინადადებას ღებულობენ. მაშასადამე, განაგრძობს ჩერნოვი, ძირითადი დებულება მიწის შესახებ დამტკიცებულია. წინადადებას იძლევი მიღებულ იქნას მიმართვა განათლებულ ქვეყნებისადმი სტოკჰოლმში სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ. კენჭის ყრით წინადადებას ღებულობენ. ღებულობენ აგრეთვე წინადადებას დელეგაციის არჩევის, მოკავშირე სახელმწიფოთა მიმართვის და სხ. წინადადებას ვიძლევი, ამბობს ჩერნოვი, შემდეგი სხდომა დავნიშნოთ 6 იანვარს შუადღის 12 საათზე, შემოვიდა წინადადება დაინიშნოს კრება საღამოს 5 საათზე.

4 ს. 40 წუთზე ჩერნოვი აცხადებს: დამფუძნებელ კრების სხდომას ვაცხადებ დახურულად.

დეპუტატები საჩქაროთ სტოვებენ დარბაზს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილი დელეგაციის თავმჯდომარე მამედ ეფენდიევი 28 იანვრის იარაღით დეპეშით შემდეგს იტყობინება: „სად. განჯასა და ალაბაშლის შუა შეგროვდა დიდძალი შეიარაღებული მუსულმანობა, რომლებიც თფილისიდან მომავალ მატარებლებს ელოდებიან, რომ გაძარცონ. ამიტომ გთხოვთ თფილისიდან მატარებლებს ნუ გამოგზავნით. გუშინდიდან განჯაში ვარ. არ მაქვს საშუალება აქედან წასვლის, ვიდრე არ მოვაწესრიგებ შეიარაღებული მუსულმანების დამშვიდების საქმეს. ზომები მიღებულია. ამ წამში ადგილობრივი მუსულმანების დელეგაციასთან ერთად ქვეითად მივდივართ შეიარაღებულ ხალხთან - იქნებ რამე შევასმინოთ. ყველა ეშელონები აქედან მშვიდობით გამგზავრენ. გუშინდელი დღიდან კვლავ სამწუხარო მდგომარეობა შეიქმნა. დელეგაციის თფილისში მოსვლამდე გთხოვთ სრულიად შესწყვიტოთ მატარებლების მიმოსვლა“.

სად. ძეგამთან სატვირთო მატარებლის № 4 გაძარცვის შესახებ შემდეგი გვიამბეს: როცა მატარებელი სად. შამხორში მივიდა, სადგურის უფროსმა განუცხადა მგზავრებს, რომ სადგურ განჯასთან მრავლათ არიან თავ-მოყრილი შეიარაღებული თათრები, რომლებიც მატარებლის მისვლას ელიან, რომ გაძარცვონო. ამის შესახებ მოძრაობის უფროსს აცნობეს, რომელმაც განკარგულება მოახდინა მატარებელი თფილისში დაებრუნებიათ. როცა მატარებელი სად. ძეგამს დაუახლოვდა, მემანქანემ შენიშნა შეიარაღებული თათრების ბრბო. ის შეეცადა ეს შეიარაღებული ბრბო გაერღვია, მაგრამ ყოველი მხრიდან მატარებელს თოფები დაუშინეს და შესძახეს: „შეჩერდით, ან ყველას ამოგჟლეტთო“. ამით იძულებული გახადეს მემანქანე შეეჩერებია მატარებელი. მატარებელმა ვერც კი მოასწრო შეჩერება, რომ შიგ შეცვივდენ შეიარაღებული პირები 500-მდე კაცი და ხელი მიყვეს ჯარისკაცებისთვის იარაღის ჩამორთმევას. მატარებელში 300-მდე ჯარისკაცი იყო. იმ დროს, როცა შეიარაღებულნი ჯარისკაცებს იარაღს ართმევდენ, უიარაღონი მგზავრების ძარცვას შეუდგენ. თოფების ჩამორთმევის შემდეგ თავდამსხმელებმა ბაგაჟის ვაგონი გასტეხეს და იქიდან გამოყარეს ყველაფერი. წაიღეს ტყავის ჩანთები და სხ. შემდეგ გაალეს საგანგებო ვაგონი, რომელშიაც ეწყო 6 ათასი თოფი და 18 ათასი პატრონა. ეს ძარცვა საათ-ნახევარი გაგრძელდა. ზოგიერთი ქალები და სამი აფიცერი თავდამსხმელებმა საცვლების ამარა დასტოვეს.

(„ვოზ.“)

ბაქო. ბაქოს საგრადონაჩალნიკოს კომისარი დეპეშით იტყობინება: ბაქოდან თფილისამდე მოძრაობის აღსადგენათ მუსულმანთა ცენტრალურ კომიტეტის და სომხეთა ნაციონალურ საბჭოს ბაქოს განყოფილების წარმომადგენელთა თათბირმა შემდეგი დასკვნა გამოიტანა: 1) უპირველეს ყოვლისა რკინის გზის მოსამსახურენი უზრუნველ უნდა იქნეს ყოველ მხრით და ხელი არ შეუშალონ მუშაობაზე, რისთვისაც საჭიროა სად. ალიათსა, აჯიკაბულსა, ქიურდამირსა, უჯარას, ევლახსა, განჯას, შამხორ დალარს, ბიუკარ. და ყარაიაზზე იდგენ მუსულმანთა, სომხეთა, ქართველთა და რუსთა შეერთებული ჯარის ნაწილები. უნდა კარგათ შეიარაღებული იყვნენ და კარგი სასყიდელიც უნდა მიეცეთ. იქვე უნდა იყვეს მილიციონერების რაზმები ახლო სოფლების დეპუტატებთან ერთათ. მილიციონერთა რაზმი უნდა შესდგეს კომიტეტების რეკომენდაციით ადგილობრივ მცხოვრებთაგან და ჯამაგირები ხაზინიდან მიეცეს. ბალაჯარაში და ყარაიაზში უნდა იდგეს მფრინავი რაზმი ჯავშნიან მატარებლებით. ყველა ეს ნაწილები უნდა ექვემდებარებოდეს ერთ სამხედრო უფროსს. გარდა ამისა, საჭიროა კიდევ მიღებულ იქნას ზომები მოსპონ მატარებლებზე თავდასხმა ან დროებით შესწყდეს ეშელონების გზავნა ბაქოსაკენ და ან უიარაღოთ გამოგზავნონ. მიღებულ იქნას საჩქარო ზომები გაიგზავნონ ბაქოში მოგროვილი ჯარისკაცები ან ნაციონალურ პოლკებში, ან თავიანთ სახლებში. ყველა ეს ზომები დაუყონებლივ უნდა იქნას განხორციელებული.

განჯა. გუბერნიის კომისარი მალხაზოვი დეპეშით იტყობინება: ყაზახიდან მთხოვენ დავიცვათ სადგური განადგურებისაგან. ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია სადგურის დაცვა, გთხოვთ დაუყონებლივ სად. ყარაიაზიდან გამოგზავნოთ მოხალისეთა ერთი ასეული.

იბრაგიმოვი იტყობინება: რადგან აქსტაფიდან ევლახამდე მოსამსახურეებმა სამსახურს თავი დაანებეს, რომ მოძრაობა არ შესწყდეს საჭიროა ახალი მოსამსახურეების მიღება. მსურველები არიან... საჭიროა რწმუნება მივიღოთ მოსამსახურეების ჯამაგირების უზრუნველყოფის შესახებ. დღეს მივიღეთ სამსახურში 300 კონდუქტორი.

კავკასიის ფრონტი

დროებით შერიგების პირობების დარღვევას კავკასიის ფრონტზე 26 და 27 იანვრის თარიღით გამოგზავნილი მოხსენების თანახმად, ადგილი არ ჰქონია.

11 და 12 იანვარს ჩინგილის უღელტეხილზე, იგდირის მიმართულებით, ქურთებმა სროლა აუტეხეს მე-13 ტრანსპორტს. სროლის შემდეგ საავადმყოფოში მიიყვანეს 15 კაცი. საბოლოოთ არ არის გამორკვეული რამდენი კაცი დაიჭრა და მოკვდა ამ სროლაში. არ არის აგრეთვე რამდენი აქლემი და ურმები წაავართვეს ქურთებმა. ქურთები ამ რაიონში დიდ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ მეტად თავხედათ იქცევიან.

ბაქოს გზაზე, ბებუს, იპაგის და ტაშიგლაის საეტაპო პუნქტებს ჯარები თავის ნებით სტოვებენ. მე-15 დრუჟინა დიდი ხანია რაც წავიდა. დამცველი რაზმები არ მოსულა. იგდირის და ეჩმიაძინის სადგურები მოქმედებენ. ეს სადგურები სომხებმა შეაკეთეს.

ახალი ამბები

დაკარგულ ბარათების შესახებ. საგანგებო სასურსათო საკრებულოს დადგენილების თანახმათ 1 თებერვლიდან ახალი სასურსათო ბარათები მიეცემათ იმ პირებს, რომლებმაც დაჰკარგეს ძველი ბარათები. საჭიროა მხოლოდ სახლის კომიტეტის მოწმობა, რომ ბარათი ნამდვილათ არის დაკარგული. სახლის კომიტეტის მოწმობა ჯერ უნდა წარედგინოს უბნის საბარათო ბიუროს და კომიტეტების მომწყობ უბნის ინსტრუქტორს. ამის შემდეგ სასურსათო განყოფილების შაქრის ბიუროდან მიიღებენ შაქრის ბარათს. თვითეულ დაკარგულ ბარათში დამკარგველს ახდევინებენ 3 მან. ჯარიმას.

◆ **წესრიგის დარღვევისათვის**. მილიციის უფროსმა დაატუსაღა ქუჩაში სროლისათვის 1 თვით მიხ. კაციტაძე, პორუჩიკი აბრ. ტერ-არუტიუნოვი, ჯარისკაცი ს. კარაპეტოვი; ღორის ხორცის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის 2 კვირით—დარია გლობენკო, 1 თვით მიხ. ჩიკვინაძე, ლ. კორძაია; სპირტით ვაჭრობისათვის 1 თვით ს. ცინცაძე, ალ. მგელაძე, ის. კარსაულიძე, 2 თვით მ. კირვალიშვილი; სახელმწიფო იარაღის ყიდვისათვის 1 თვით ელ. კანდიკიანცი; პურის სპეკულიაციისათვის 1 თვით ჯარისკაცი ტრ. ტარონოვი; როგორც საზოგადოებრივ თავდაცვისთვის მავნე პირები—3 თვით ა. ასლამაზოვი, ვ. როგაჩოვი, სტ. ბორინი.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა** საზოგადოებას განზრახული ჰქონდა მოეწვია ქართველ ექიმთა, საშუალო სამკურნალო პერსონალისა და სანიტართა ყრილობა გასული წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. სხვადასხვა მიზეზებისა გამო ყრილობის მოწყობა ამ დროისთვის არ მოხერხდა. პირველმა ქართ. ეროვ. ყრილობამ თანახმად ჯანმრთელობის სექ. მოხსენებისა დაადგინა, რომ სამკურნალო სასანიტრო ყრილობა ერთად იქნეს მოწვეული და ამ საქმის მოწყობა დაევალა ეროვნულ საბჭოს ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებასთან შეთანხმებით. ეროვნულ საბჭოსთან არსებულმა ჯანმრთელობის სექციამ შეთანხმებით ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტთან გადასწყვიტა ყრილობა მოიწვიოს 25 მარტისთვის და ცოტაოდნად შესცვალა ის პროგრამა რომელიც შემუშავებული იყოს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

◆ **სახალხო შეიარაღება**. კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე, რომ მან დააჩქაროს ხალხის შეიარაღება, რაც საჭიროა თავდაცვისათვის და ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

◆ **შაქარი**. 1 თებერვლიდან თვითეულ სულს მიეცემა თვეში 2 გირ. შაქარი 60 კაპ. გირვანქა.

◆ **პური**. 30 იანვრიდან თვითეულ სულს მიეცემა დღეში ნახევ. გ. პური.

◆ **კავკასიის ჯარის საბჭოში**. 29 იანვარს მოხდა კავკასიის ჯარის საბჭოს სხდომა. საბჭომ გაარჩია სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარის მოქმედება მიხეილის (ბათუმში) ციხის კომენდანტის დანიშვნისა და ბათუმში სამხედრო-საზღვაო კომისარიატის დაარსების შესახებ და დაადგინა: 1) იმის გამო, რომ სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარი არ უწევს ანგარიშს ორგანიზაციების აზრს, კერძოთ კავკასიის ჯარის საბჭოს, როგორც უფრო დაინტერესებულს სამხედრო ხასიათის საკითხებში და ხშირათ არც კი ატყობინებს მათ განზრახულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯების შესახებ—კავკასიის ჯარის საბჭო უცხადებს მას სრულ უნდობლობას და მოითხოვს მის დაუყონებლივ გაძევებას სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარის თანამდებობიდან; 2) გადაჭრით მოითხოვს მიხაილოვის ციხის კამენდატათ პოლკ. კრიჩეტოვის დანიშვნას; 3) დაუყონებლივ შეჩერებულ იქნას სამხედრო-საზღვაო კომისარის განკარგულება ბათუმში სამხედრო-საზღვაო კომისარიატის მოწყობის შესახებ. ეს დადგენილება დაუყონებლივ ეცნობოს კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრს და ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

◆ **წყალსადენი ქუთაისში**. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ განიზრახა მოაწყოს ქალაქში წყალსადენი. თვითმმართველობა სთხოვს ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტს წყალსადენისთვის საჭირო მასალას. გარდა ამისა ქუთაისში მიემგზავრება ინჟინერი რიონზე ხიდის გაყვანის საქმის ტეხნიკურ საქმეთა გამოსარკვევათ.

◆ **უწესოება სოფლად**. ჩოხატაურიდან გვატყობინებენ, რომ სად. საჯევახოდან ჩოხატაურისკენ ეტლით მიმავალი ჯარისკაცები დიდ უწესოებას ახდენენ, წამდაუწუმ თოფებს ისვრიან და თავზარს სცემენ, როგორც მგზავრებს, ისე ახლო-მახლო მცხოვრებლებს.

◆ **სურსათი**. 30 იანვარს თფილისში შემოიტანეს 4 ვაგონი ქერი.

◆ **პ. საყვარელიძის ლექცია**. 1 თებერვალს ნაძალადევის თეატრში პ. საყვარელიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: თანამედროვე მომენტი, ფედერაცია-კონფედერაცია და ჩვენი მიზანი. ლექცია დაიწყება საღამოს 5 საათზე.

◆ **სახალხო თეატრი**. 1 თებერვალს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ, წრის დამსახურებულ რეჟისორ კ. შათირიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური დრამა ია ეკალაძისა „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“ დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი**. დღეს სტავინსკი წაიკითხავს ლექციას ბუნების მეტყველებიდან. მეორე ლექციას წაიკითხავს მახვილაძე პოლიტიკურ ეკონომიიდან. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ლექციებზე დასწრება უფასოა.

კრებები და მიტინგები.

1 თებერვალს, საღამოს 6 ს., მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქუჩა № 3) დანიშნულია მეოთხე რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) სეიმი და მისი დანიშნულება; 2) ზავის საკითხი; ამ ორი კითხვის შესახებ მოწვეულია მომხსენებელი. დასასრულ მოხდება არჩევნები ამიერ-კავკასიის ს.-დ. ყრილობის დელეგატებისა. კრებაზე შესვლა მხოლოდ საწევრო ბარათებით შეიძლება.

— დღეს, საღამოს 6 ს., დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა,

— 2 თებერვალს, დილის 10 საათზე პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს განათლების სექციასთან არსებულ ქართული ენის და ლიტერატურის კომისიის სხდომა. ხსენებული კომისია იწვევს ქართული ენის და ლიტერატურის და აგრეთვე პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

— 2 თებერვალს, დილის 10 ს., 1-ლ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მათემატიკის ქართველ მასწავლებელთა კრება.

— 1 თებერვალს, საღამოს 5 ს., სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია უნივერსიტეტის მსმენელთა საერთო კრება. ასარჩევია ლექტორთა საბჭოში გასაგზავნი დელეგატი.

— 1-ლ თებერვალს დილის 10 საათ. დანიშნულია საერთო კრება თფილისში მომუშავე მეპურეებისა.

— 1 თებერვალს დილის 10 ს. კავშირის ბინაზე (პეტრედიდის ქ., № 18) დანიშნულია უმუშევარ ფარმაცევტთა კრება.

— 1 თებერვალს ძველი სემინარიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა), საღამოს 9 საათზე დანიშნულია თფილისში მყოფ ქართველ ფარმაცევტთა საერთო კრება.

მოიჯარადრეთა თავგასულობა

სარაყამიშიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „მოიჯარადრეები მგალობლიშვილი, მუსტანშკოვი, პელიძე და მათი რწმუნებული მურვანიძე, რომელთა კანტორა მოთავსებულია სარაყამიშში, სადღაც წავიდენ. სამი თვეა დავეძებთ. მუშებს ერგება მათგან 130 ათასი მანეთი. მუშები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ, მთელი დღეების განმავლობაში დგანან მუშათა სექციის კარებთან უპუროთ და სამუშაოს მოკლებულები. სარაყამიშის რაიონის მუშათა სექცია იღებს ენერგიულ ზომებს მოიჯარადრეთა მოსანახავათ და სუშათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ამიტომ ვსთხოვთ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებს, მუშათა დეპუტატების ყველა საბჭოებს და სხვებს აღმოგვიჩინონ დახმარება ხსენებულ მოიჯარადრეთა მონახვაში. ცნობები უნდა მოგვაწოდონ მუშათა სექციაში.

მუშათა სექციის თავმჯდომარე აბაშიძე, მდივანი ახათიანი.“

ტფ. ქალაქის საბჭოში

(29 იანვრის სხდომა).

თავმჯდომარეობს ამხ. ალ. ლომთათიძე.

29 იანვარს ფქვილის ნაკლებობის გამო პურის ულუფა სამ მერვედი გირვანქამდე შემცირეს. ამან გამოიწვია მცხოვრებთა შორის უკმაყოფილება. საღამოს მოიყარა ხალხმა თავი ერევნის მოედანზე და საგანგებო დელეგაცია მიუგზავნა ქალაქის თავს.

ამის შესახებ ქალაქის თავმა ნ. ელიავამ შემდეგი აცნობა ქალაქის საბჭოს: ფქვილის ნაკლებობის გამო 4 ვაგონის მაგივრათ გუშინ პურის მეფურნეებს მხოლოდ 3 ვაგონი ფქვილი დავურიგეთ. ამან გამოიწვია პურის ულუფის შემცირება, უკმაყოფილონი შეგროვდენ ქალაქის გამგეობის შენობასთან. მე გამომიგზავნეს განსაკუთრებული დელეგაცია. დელეგაციამ აღინიშნა, რომ პურის სპეკულიაცია დღესაც სწარმოებს, გამოაქვთ უპარათოთ იგი და გირვანქას 1 მ. 90 კაპ. ჰყიდიან: მეორეს მხრით არა გვაქვს უფლება სურსათი შემოვიტანოთ ქუთაისის გუბერნიიდანო. დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ არ იყოს აღკრძალული ქუთაისის გუბერნიიდან სურსათის შემოტანა. ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ეშინია, რომ თვით ქუთაისის გუბერნია არ დარჩეს უსურსათოთ, ამიტომ აღკრძალა სურსათის გამოტანა გუბერნიიდან. შეუძლიათ მხოლოდ თვითეულ სულზე 2 ფუთი სურსათი გამოიტანონ. მე აღვუთქვი დელეგაციას, რომ თვითეულ სულზე მიეცემათ ნება 2 ფუთამდე სურსათი გამოიტანონ უმოწმობოთ, ხოლო ადგილობრივ სასურსათო კომიტეტების მოწმობით—5 ფუთამდე. დუქნებში გასაყიდათ შეუძლიათ იქონიონ მხოლოდ 10 ფუთამდე სურსათი. შემდეგ ქალაქის თავი შეეხო იმ ზომებს, რომლებიც მიღებულია სურსათით ქალაქის უზრუნველსაყოფათ. ჩვენ მივეცით კერძო პირებს ნება შეისყიდონ სურსათი ჩრდილო კავკასიაში. ამ მიზნითვე დაგზავნილი გვყავს კაცები სხვადასხვა ადგილებში. მოვაწყვეთ ჩრდილო კავკასიიდან სურსათის გადმოტანის საქმე, მაგრამ დარიალის ხეობაში არეულობამ შეგვიშალა ხელი. რაც შეეხება სურსათის ზღვით მოტანას, ჩვენ არ გვაქვს ფული, რომ გავისტუმროთ მომტანნი, ეს ძლიერ აფერხებს საქმეს. გარდა ამისა ჩვენი სახელზე გამოგზავნილი 7 ვაგონი სურსათი გზაში დაიტაცეს. ჩვენ ვიშოვეთ 4 ვაგონი კარტოფილი. ამ დღეებში დაიწყება მისი გაყიდვა ქალაქის—დუქნებში.

ქალაქის თავის განცხადება საბჭომ მიიღო სახეში.

ბინის საკითხის შესახებ მოქ. ტ. კამალოვისა და სხვ. მიერ აღძრულ საჩივარის გამო ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევებში უკანასკნელი ინსტანცია არის ქალაქის გამგეობა და საბჭო არ არჩევს ასეთ საქმეებს.

ქალაქის თავი აცხადებს, რომ ხშირათ ქალაქის გამგეობას მომართავენ პროტესტით შაქარზე საქციზო გადასახადის დაწესების გამო. გამგეობამ ეს აცნობა ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტს. ცენტრალური კომიტეტი შეეკითხა ყველა ქალაქებს და გამოირკვა, რომ ყველგან წინაამდეგნი არიან შაქარზე საქციზო გადასახადის დაწესებისა. თუ საბჭო მოიწონებს, ჩვენ აღვძრავთ შუამდგომლობას ასეთ გადასახადის მოსპობის შესახებო—სთქვა ქალაქის თავმა.

საბჭომ მოიწონა ქალაქის გამგეობის განზრახვა და დაავალა მას მოიყვანოს იგი სისრულეში.

შემდეგ მოხდა მილიციის უფროსის და მთავარი კანტრალიორის არჩევნები. ქალაქის გამგეობამ მილიციის უფროსათ დაასახელა პოლკ. ა. მ. კონიევი, კანტრალიორათ—ი. ს. პეტრაკოვსკი, ყველა ფრაქციებმა მხარი დაუჭირეს ქალაქის გამგეობის კანდიდატებს. საინტერესო იყო მხოლოდ სომხის სახალხო თავისუფლების ფრაქციის წარმომადგენელის განცხადება მილიციის უფროსის შესახებ. თქვენ გეშინიათ კონტრ-რევოლუციის ისე როგორც ძველ რეჟიმს ეშინოდა რევოლუციის; თქვენ ყოველთვის გელანდებათ კონტრ-რევოლუცია და იმიტომ ნიშნავთ მილიციის უფროსს. ჩვენ თავს შევიკავებთ თქვენი კანდიდატისათვის კენჭის ყრის დროსო. ამ განცხადებამ საერთო სიცილი გამოიწვია. ალ. გ. კონიევმა მიიღო 52 თეთრი და 1 შავი კენჭი; ი. ს. პეტრაკოვსკიმ— 53 თეთრი და 2 შავი.

ომისაგან დაზარალებულ პირთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის შესახებ საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მოხსენება. საობლო სასამართლოს ყოფილ მოსამსახურეს ნ. ვასილიევს მიეცა ერთდროული დახმარება 105 მან. საბჭომ დაადგინა: გაუქმებულ იქნას ქალაქის საავათმყოფოებში საწოლების დანაწილება, რომელსაც ჰქონდა ადგილი ავათმყოფთა ქონებრივი შეძლების მიხედვით. შემდეგში სიმდიდრეს არ მიაქცევენ ყურადღებას, ავათმყოფებს გაანაწილებენ მხოლოდ ავათმყოფობის მიხედვით; გადაიდვას 37,160 მან. უფროს მილიციონერების შესამოსათ; ნადეჟდინის სახელობის ბავშეთა თავშესაფარს გადაუხდელი წყლის გადასახადის შემოსატანათ მიეცეს ერთდროული დახმარება; გადაიდოს შრომის ბირჟის მოსაწყობათ 2500 მან.; მიეცეს თფილისის ქალაქის პოლიციის ყოფილ „გოროდოვოებს“ (თორმეტი კაცი) დახმარება და პენსია მათი თხოვნისა და კანონის თანახმათ. ყოფილი სამინისტრო სკოლების მასწავლებლები ჯამაგირების მხრით გაუთანასწორონ დანარჩენ სასწავლებელთა მასწავლებლებს. ქუჩების გაწმენდა მკვდარ ცხოველებისაგან იკისროს თვით ქალაქის თვითმართველობამ. აქედან წლიური შემოსავალი დარჩება 8634 მ.

რუსეთის ამბები

რევოლიუცია რუმინიაში. თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, რუმინიაში რევოლუციამ იფეთქა. ტახტიდან ჩამოაგდეს მეფე ფერდინანდი თავის პრემიერ მინისტრ ბრატიანოთი. რუმინელმა აფიცრებმა პაგონები აიგლიჯეს და რევოლუციონერებს შეუერთდენ.

დღეს სხვადასხვა სენსაციურ ამბების შესახებ ხმების გავრცელება ჩვეულებრივ მოვლენათ გარდაიქცა, ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით რამდენათ მართალია ეს ხმები.

არა-მკითხე ბატონები. ამ უკანასკნელ დროს ბოლშევიკები ისე გაიტაცა ბატონობის სურვილმა, რომ თავიანთ კომისარებს იქაც კი ნიშნავენ, სადაც არავითარი ძალა არა აქვთ და მათი ხსენებაც კი არ არის. მარტო კავკასიაში არ მოუხდენიათ მათ ასეთი შანტაჟი შაუმიანის კომისრათ გამოცხადებით. ამ დღეებში სახალხო კომისარების საბჭოს უკრაინაში „უკრაინის რესპუბლიკის ჯარების მთავარ სარდლად დანიშნეს კოციუბინსკი“. უკრაინაში კი ბოლშევიკების ხსენებაც არ არის.

ბოლშევიკების მოქმედება ციმბირში. ქ. კანსკში ბოლშევიკები გაბატონდენ და იბრძვიან ქ. ირკუტსკიც ხელში ჩაიგდონ. ამიტომ იქაურ ბოლშევიკებისათვის საშველათ გაუგზავნიათ კანსკიდან 700 ჯარისკაცი. ბრძოლის დროს ამ 700 ჯარისკაციდან ცოცხლათ გადარჩა მხოლოდ 37, დანარჩენები დახოცეს. რაზმის უფროსს სტემბერგს რევოლუციონურმა კომიტეტმა პასუხი მოსთხოვა. მან განაცხადა: „ჯარის კაცების დაკარგვას ანგარიშში არ ვღებულობთ“. ჯარისკაცებმა ის დაფლითეს.

ბრძოლა ქ. ირკუტსკში. ამ უკანასკნელ დროს ქალ. ირკუტსკი ნამდვილი ბრძოლის ველათ გადაიქცა, გამუდმებით გაისმის ზარბაზნების გრიალი და თოფების ჭახა-ჭუხი. ძარცვა-გლეჯა აშკარათ ხდება. ასეთ მდგომარეობის გამო მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ჩაერიონ ამ საერთო ბრძოლაში და დაიცვან თავი თავდამსხმელთაგან. ყოველი სახლი ციხეს წარმოადგენს, სახლში მყოფნი ყოველ წუთს მზათ არიან სროლა აუტეხონ თავდამსხმელთ, თითქმის ქალებიც და ბავშვებიც კი ღებულობენ მონაწილეობას ბრძოლაში. ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძვის.

მონარქისტებმა თავი წამოჰყვეს. ბოლშევიკების მოქმედებამ იმდენათ წაათამამა კონტრ-რევოლიუციონერები, რომ იგინი აშკარათ გამოვიდენ და იმედს აცხადებენ, რომ სულ ჩქარა ისევ ნიკოლოზ რომანოვს წამოასკუპებენ ტახტზე და რუსეთში კვლავ თვითმპ. აღადგენენ. პეტროგ. მკვდრეთით აღსდგა ჭეშმარიტ რუსთა გაზეთი „გროზა“, სწორეთ იმ დროს, როდესაც პეტროგრადში ხმები გავრცელდა, რომ ნიკოლოზ რომანოვი გაიქცაო. „გროზა“ გულახდით ამბობს, რომ თუ ნიკოლოზ რომანოვი გაიქცა, ამის მადლობელი უნდა ვიყოთ ბოლშევიკების ჭეშმარიტ—რუსთა პოლიტიკისა. მოწინავე წერილი ასე თავდება: „საკვირველი ის არის, რომ ბოლშევიკებმა მშვენივრათ გაიგეს რუსის ხალხის სულისკვეთება და უფრო მეტი ჭეშმარიტი რუსები გამოდგენ, ვიდრე გენერალი რუზსკი, ალექსეევი, კალედინი, დუტოვი და სხვები, რომლებმაც დაივიწყეს მიღებული ფიცი. დიდხანს გაგრძელდება თუ არა ბოლშევიკების ბატონობა ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ თვითმპყრობელობა ჩქარა აღსდგება რუსეთში და მეფეც კვლავ ტახტზე ავა. გაუმარჯოს თვითმპყრობელობას! გაუმარჯოს მეფეს!“

უცხოეთი

სოციალისტების ბელად სევისტის განცხადება. ბავარიის სეიმის კრებაზე სოციალისტების ლიდერმა სევისტმა შემდეგი განაცხადა გერმანიის მდგომარეობის შესახებ: „ჩვენ გვაკლია ნახშირი, საცვლები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საპონი. ნუ თუ მთავრობა ფიქრობს, რომ ჩვენ უცხოელებს მოვატყუებთ და იგინი დაგვიჯერებენ, რომ კარგ მდგომარეობაში ვართ? ჩვენ ამ ომში მოგვიკლეს 300.000 კაცი და ამდენივე დაგვიჭრეს. წყალ-ქვეშა ნავები ჩვენ კარგს არას მოგვიტანს. ომის შემდეგ გემები აღარ გვეყოლება ხორბალის შემოსატანათ და მთელ გერმანიაში გაფიცვა იფეთქებს“.

გერმანიის იმპერატორს ყუმბარა ესროლეს. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის იმპერატორის სასახლეში ყუმბარა გადააგდეს. დაიჭირეს 25 კაცი. გერმანიის სხვადასხვა ადგილებში გაფიცვა ჯერ კიდევ გრძელდება თურმე.

მუშათა წერილები

როგორ უყურებთ ბოლშევიკების გამოსვლებს მუშები?

ბოლშევიკებმა შეტოპეს. თავიანთი ანარქისტობა ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანეს. მათი შეხედულება და ნაბიჯები ცხოვრებამ არც ერთი არ გაამართლა. ამას კარგათ უნდა ჩაუკვირდენ ის მუშები, რომლებიც მათს დროშას მიჰყვებიან. მე ვლაპარაკობ იმ მუშების საყურადღებოთ, რომლებიც თავიდან ბოლშევიკებია და რეაქციის ხანებში არ მოშორებიან პარტიას. რაც შეეხება ახალ შემოერთებულ მუშებს, მათი ბოლშევიკობა წუთიერია.

ჩვენ უნდა გავიხსენოთ ორივე ფრაქციის წარსული. სოც.-დემოკრატიულ მოძრაობას ყოველთვის მენშევიკები ედგენ სათავეში. ეს იმიტომ, რომ მათ შეხედულებას ცხოვრება ყოველთვის ამართლებდა. მენშევიკები საქმიანობდენ, ბოლშევიკები კი ყოველთვის ხელს უშლიდენ. მე ისეთ კითხვებს არ ვეხები, რომელსაც მხოლოდ თეორეტიული ხასიათი აქვს. ასეთი უთანხმოება პარტიას იმდენ ზარალს ვერ მოუტანდა, რამდენიც მოუტანა პრაქტიკულმა უთანხმოებამ. პროგრამა მინიმუმი ორივე ფრაქციას ერთი ჰქონდა. ამ პროგრამაში გვიწერია: საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნები. ასეთი პრინციპით მოხდა არჩევნები და დამფუძნებელი კრება შესდგა. ბოლშევიკებმა ის გარეკეს იმისთვის, რომ იცოდენ ბოლშევიკების მთავრობაზე მეტი ნდობა და გავლენა ექნებოდა, როგორც რუსეთში, ისე მეომარ და მოკავშირე სახელმწიფოებთან და ის წყეული კითხვები—ზავი და სხვა—უფრო ადრე და სასურველათ გადაიჭრებოდა, რის შემდეგ ბოლშევიკებს გუშინდელი გაბოლშევიკებული ხალხი ჩამოსცილდებოდა და ლენინ-ტროცკის გავლენა დაეკარგებოდა.

ამით პროგრამა მინიმუმში ამოშალეს ეს მუხლი. იქ არის კიდევ ერთი მუხლი—პიროვნების ხელშეუხებლობა. სოციალისტი დეპუტატები დაატყვევეს, ამოშალეს ეს მუხლიც. იქ არის წერის თავისუფლება,—ხურავენ ყველანაირ გაზეთებს. ამოშალეს ეს მუხლიც. იქ არ იყო ტერორი,—ჩასწერეს; იქ არ იყო ანარქია,—ჩასწერეს; იქ არ იყო სოციალიზმის დღესვე განხორციელების მოთხოვნა,—ჩასწერეს. ვისთვის არის საეჭვო, ამხანაგებო, რომ ბოლშევიკები ასცდენ მარქსიზმს. ბოლშევიკებმა იცოდენ, რომ ზავის პირობები მომწიფებული იყო. დამფუძნებელი კრება 28 ნოემბერს უნდა შემდგარიყო და დღეს ზავი უკეთეს პირობებში იქნებოდა და მერე ასეთი სადემაგოგო მასალა არ ექნებოდათ.

რომელი სოციალისტი უარჰყოფს იმას, რაც მენშევიკებმა ქ. ჩხეიძის პირით ამცნეს მთელი ქვეყნის დემოკრატიას: ომი დაიწყო იმპერიალისტებმა, უნდა შესწყვიტოს დემოკრატიამო, ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დემოკრატიის მიერო. ბოლშევიკები გვაჩვენებენ ისეთ ზავს, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს. თუ ოდესმე იყო საჭირო პრაქტიკულათ განხორციელება ერთა თვითგამორკვევის, ეს განსაკუთრებით საჭიროა ეხლა, როცა ლენინ-ტროცკიმ საშიშარი პირობები შექმნეს.

დამნაშავის სკამზე აჯენენ ერებს, როდესაც თვით არიან დამნაშავენი. ბოლშევიკები შეგვპირდენ სოციალიზმს,—სამაგიეროთ გააძლიერეს ხულიგანები, შექმნეს ისეთი პირობები, რომ ხშირათ გაიგონებთ: ამას ძველი მთავრობა სჯობდა,—მაგრამ მათგან კიდევ მეტს მოველით, თუ დროზე არ იქნა აღაგმული. მე მრწამს აილაგმებიან.

მუშა მუსტაფე.

ზაქათალის ოლქი და სიღნაღის მაზრა

20 იანვარს სად. წნორის წყალზე შეიკრიბენ სიღნაღის მაზრის და ზაქათალის ოლქის წარმომადგენელნი. ამ ყრილობის მიზანი იყო მეზობელ ოლქების ხალხთა ურთიერთ დამოკიდებულობის მოწყობა. კრებამ დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელსაც დაავალა მიიღოს ზომები ოლქის და მაზრის მცხოვრებთა ურთიერთ დამოკიდებულების მოწესრიგებისა. კომისიაში აირჩიეს ზაქათალის ოლქიდან: ასლან ბეგი კარდაშევი, დიბიროვი, ნასიბოვი, მოლა შარიფ გაჯი გამეტოვი, მაგომედ ვასი ნურ მაგომედოღლი და სხვები; სიღნაღის მაზრიდან: ლისენკო ალექსი, ჟუკოვი პავლე, ნადირაშვილი ნიკოლოზ, ნანიბაშვილი ივანე, ღვინიშვილი ილია და ბაქაშვილი მალაქია, კომისიამ 20 იანვარს საღამოს გამართა კრება. დაესწრენ კომისარები: პარმენ გელაშვილი, ქობულოვი, დიბიროვი და ვ. რცხილაძე და ქ. სიღნაღის რევოლუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენელი ლ. ხუციშვილი. აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელსაც მუდმივი სხდომები ექნება წნორის წყალზე. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ვასილ რცხილაძე, ამხანაგათ ასლან ბეგი კარდაშევი. პირველი მათგანი მოქმედობს სად. წნორის წყალზე, ხოლო მეორე ზაქათალაში, პირველი იცავს ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა ინტერესებს სიღნაღის მაზრაში, ხოლო მეორე სიღნაღელებისას ზაქათალას ოლქში.

შემდეგ ამისა კომისია შეუდგა პროვოკაციების წინაამდეგ ზომების შემუშავებას და კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, კომისიის წევრებმა ვიქონიეთ მსჯელობა პროვოკაციასთან ბრძოლის შესახებ და შემდეგ დასკვნამდე მივედით:

1) საჭიროა კომისიის თავმჯდომარეებმა ოლქის და მაზრის ცხოვრების პირობებს თვალყური ადევნონ და შეისწავლონ.

2) სამართალში მისცენ ყველა ის პირნი, რომელნიც ყალბ ხმებს ავრცელებენ და ერთ ერს მეორეზე აქეზებენ.

3) ჩხრეკა-დაპატიმრების საქმე განსაკუთრებულ პირებს ჩააბარონ.

4) ერთი მხარის დამნაშავე ამ მხარემ უნდა აღმოაჩინოს და სამართალში მისცეს.

5) ოლქიდან მაზრაში საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვის საქმის მოწესრიგება.

6) ზაქათალის ოლქის დამნაშავე მოქალაქეები, რომლებსაც სიღნაღის მაზრაში დაიჭერენ უნდა გაგზავნონ ზაქათალის ოლქში და იქ დაჭერილები სიღნაღელნი სიღნაღის მაზრაში.

7) გასწიონ ფართე აგიტაცია როგორც მუსულმანებში, ისე სხვა ერებში ძმურ განწყობილების დასამყარებლათ.

8) დაიცვან სიღნაღის მაზრაში მცხოვრებ ზაქათალის ოლქის მოქალაქეთა ინტერესები და სიღნაღის მაზრის ზაქათალის ოლქში.

კომისიის და პრეზიდიუმის ყველა დადგენილებები უნდა ეცნობოს მცხოვრებთ და მაზრის და ოლქის კომისარებმა სისრულეში უნდა მოიყვანონ.

ყაჩაღების და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კომისიამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

დაარსონ სადარაჯო ადგილები, რიცხვით 8 და დანიშნონ ამ ადგილზე ოთხ-ოთხი მილიციონერი და ეს დადგენილება 10 თებერვლამდე სისრულეში მოიყვანონ.

იმ სოფლის მცხოვრებლებმა, სადაც ძარცვა-გლეჯა მოხდება, უნდა იკისრონ ზარალის ანაზღაურება.

შემდეგ კომისიამ განიხილა ინგილოებზე თავდასხმის ამბავი და დაადგინა მიიღოს კომისარმა ქობულოვმა საჭირო ზომები, რომ ინგილოებს დაუბრუნონ წართმეული საქონელი. დასასრულ კომისიამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „გავითვალისწინეთ რა ზაქათალას ოლქში მცხოვრებ ინგილოთ მდგომარეობა, კომისიამ დაადგინა, რომ ინგილოები არ უნდა იქნან შევიწროებულნი როგორც სარწმუნოების მხრით, ისე ეკონომიურათ“.

ყველა ეს დადგენილებები სისრულეში უნდა მოიყვანონ, რასაც ეჭვს გარეშე, ფრიად სასარგებლო ნაყოფს გამოღება შეუძლია. X.

კაპიტალიზმის აღორძინება და იმპერიალისტური ლტოლვილებანი გერმანიაში

(დასასრული).

აღმოსავლეთის მდიდარი ადგილები ძილს არ აძლევდენ გერმანიის ფინანსისტებს და მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ ევროპის სახელმწიფოები, როგორც ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, მათ მაინც შესძლეს 1902 წ. იანვარში ბაღდადის რკინის გზაზე კონცესიის მიღება. ამ კონცესიის მნიშვნელობაზე იმავე წელს ერთი გაზეთი სწერდა: „ბაღდადის რკინის გზის გაყვანა, რომელიც დაჯდება 400 მილიონი ფრანკი, არის მნიშვნელოვანი არა მარტო იმით, რომ ის შეიქნება წყარო დიდი მოგებისა, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის ჩვენ დაგვაახლოვებს მდიდარ ქვეყნებს, რომელნიც შეიძლება წარმოადგენდეს საუკეთესო ბაზარს გერმანიის ვაჭრობისთვის. რასაკვირველია „პანგერმანისტების“ ორგანო მეტად აჭარბებდა, როცა სწერდა, ვითომ სათათრეთი შეიქნებოდა მდიდარი ბაზარი გერმანიის ვაჭრობისთვის, რადგან, როგორც სჩანს, სათათრეთის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკიდან, გერმანიის ვაჭრობა ბევრათ ჩამორჩება სხვა ქვეყნების ვაჭრობას. აი ეს ცნობებიც.

	შემოტანა.	გატანა.
ქვეყნები	1908—1909	1908—1909
	პიასტრები	პიასტრები
ინგლისი	941.274.000	518.723.000
საფრანგეთი	337.057.000	363.360.000
ავსტ.-უნგრ.	407.518.000	247.773.000
იტალია	245.107.000	100.702.000
გერმანია	193.567.000	114.997.000

ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის ფინანსიურ წრეებისთვის სათათრეთი უფრო მნიშვნელოვანია, როგორც ისეთი ქვეყანა, სადაც გერმანიის კაპიტალს შეუძლია ფეხი მოიკიდოს. 1913 წ. სტატისტიკით გერმანიის კაპიტალის მთელ ჯამს სათათრეთში შეადგენდა 281 მილიონ ფრანკს. საფრანგეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელიაც სხვადასხვა სახით მეტი ფული ჩადო სათათრეთში, ვინემ გერმანიამ. საფრანგეთის კაპიტალი სათათრეთში ომის წინ უდრიდა 2 მეოთხედ მილიარდ ფრანკს, მაგრამ ბაღდადის რკინის გზის უმთავრესი მნიშვნელობა იმაშია, რომ ამ გზის წყალობით ჰამბურგი პირდაპირ უერთდება სპარსეთს, სადაც პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა ორი დიდი სახელმწიფოსი—რუსეთის და ინგლისის მეტათ დიდია და ახლო მომავალში ბაღდადის რკინის გზის გაყვანა გერმანიას გააბატონებდა ინდოეთის ბაზარზე.

სწორეთ ამისთვის იყო, რომ ინგლისის და რუსეთის დიპლომატები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ გერმანიის რკინის გზის პროექტს სათათრეთში. მაგრამ თვით ინგლისის და რუსეთის დამოკიდებულება ერთმანეთ შორის არ იყო მაინც და მაინც სანატრელი. თუნდაც გავიხსენოთ ის, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა ამ ორ სახელმწიფოთა შორის მე-XIX საუკ. მერთხმოცე წლებში 1885 წ. ამ სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულება იმდენათ გამწვავდა, რომ ამ წელს ომის აუცილებლობა ყველას ენაზე ეკერა. ამ დროს ინგლისი ეძებდა ძლიერ მოკავშირეს კონტინენტზე რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთ მოკავშირეთ შეუძლებელი იყო საფრანგეთი ყოფილიყო, რადგან ოთხმოციან წლებში ინგლისის და საფრანგეთის შორის დამოკიდებულება თითქმის უფრო გამწვავებული იყო, ვინემ ინგლისსა და რუსეთ-შორის. 1882 წ. 11 ივლისს ინგლისის სამხედრო გემებმა ყუმბარები დაუშინეს ალექსანდრიას, რამაც აღელვა მთელი საფრანგეთი; გავიდა სულ ცოტახანი ამის შემდეგ და ინგლისელებმა დაიკავეს ეგვიპტე, რომელსაც საფრანგეთი თავის საკუთრებათ სთვლიდა. 1884—1886 წწ. მდგომარეობა უფრო გამწვავდა ინდოჩინეთის გამო; ამას ზედ დაერთო მადაგასკარის საკითხი, რომლის დაპყრობას ფრანგები 1885 წ. შეუდგენ. შეხლა-შემოხლა ტუნისის, დაგომეის, სიამის, ზემო-ნილოსის გამო (ეს უკანასკნელი ინგლის-ბელგიის 12 მაისის 1894 წ. ხელშეკრულობის ძალით, ჩამოშორდა საფრანგეთს), უფრო და უფრო ამწვავებდა ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულებას. და არც უნდა გაგვიკვირდეს ის გარემოება, რომ ინგლისის მსხვილ ბურჟუაზიამ თავის მთავრობის სახით მოიწონა გერმანიის პროექტი ბაღდადის რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ. ამ პროექტის ძალით (ეგრეთ წოდებული პრესსელის პროექტი) რკინის გზის ლიანდაგი გაივლიდა მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილზე, სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ პროექტით რკინის გზა სულ ახლო გაუვლიდა რუსეთის საზღვრებს კავკასიაში.

ინგლისის მთავრობას მშვენივრათ ესმოდა, რომ ამ რკინის გზის გაყვანით სათათრეთში გაძლიერდებოდა გერმანიის გავლენა ამ მხარეში, და თუ მოხდებოდა შეტაკება ინგლისსა და რუსეთს შორის, მას იმედი ჰქონდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერს რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ინგლისის მთავრობა ძლიერ მოსტყუვდა თავის ანგარიშში. გერმანიამ გამოსცვალა თავისი პირველი პროექტი, და იმის მაგიერ, რომ რკინის გზა გაეყვანა მცირე-აზიის ჩრდილო ნაწილზე, ლიანდაგს მისცა ახალი მიმართულება, რომელიც ინგლისის სავაჭრო ინტერესებს მცირე აზიაში ლახვარს სცემდა. ინგლისის იმპერიალისტების [illegible] და მუქარამ პროექტის შეცვლის გამო ვერ შეაშინა გერმანიის მთავრობა, მით უმეტეს, რომ რუსეთის მთავრობამ მოიწონა ეს პროექტი და მხარი დაუჭირა მას. საფრანგეთის მთავრობა, თუმცა თავდაპირველათ ებრძოდა ბაღდადის რკინის გზის გაყვანას, მაგრამ შემდეგში, ყოვლათ შემძლე საფრანგეთის ფინანსისტების ზეგავლენით დათმობის გზას დაადგა. საფრანგეთის ფინანსისტები კი სულ იმას ოცნებობდენ, რომ ამ გრანდიოზულ წარმოებაში ისინი ჩადებენ რამოდენიმე ას მილიონს, და დიდძალ ფულს მოიგებდენ. მათი გამოანგარიშებით ეს გზა 700 მილიონი მარკა დაჯდებოდა. და როგორ შესძლებდა გერმანია ამდენი თავისუფალი ფულის შოვნას საფრანგეთის ფინანსისტების დაუხმარებლათ?

1902 წ. 31 აგვისტოს საფრანგეთის ოფიციოზური გაზეთი ტანი სწერდა: „რომ საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულობა ბაღდადის რკინის გზის შესახებ დაუყოვნებლივ იქნება ხელმოწერილი“-ო. შერადამის მოწმობით კი უკვე: „1902 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ბ. დე გვინნერი, გერმანიის ბანკის დირექტორი, ჩამოვიდა პარიზში იმ მიზნით, რომ მოლაპარაკება გაემართა იმ ფინანსისტებთან, რომელნიც დაინტერესებულნი იყვენ ბაღდადის რკინის გზის წარმოებაში, 1903 წ. 13 თებერვალს უკვე შევიტყეთ, რომ რკინის გზის პირველი ნაწილის გაყვანა ახლო მომავალში დაიწყება“-ო, დასძენს გაზეთი.

თუმცა არ არის ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი კაპიტალი ჩადო საფრანგეთის კაპიტალისტებმა ამ გრანდიოზულ წარმოებაში, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კაპიტალი იყო მეტად დიდი. ბ. ეტიენმა, საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა 1902 წ. 21 იანვარს პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა: „ეჭვს გარეშეა, რომ გერმანია ვერ შესძლებს ბაღდადის რკინის გზის გასაყვანათ მთელი საჭირო კაპიტალის შოვნას, და რომ საფრანგეთის ფული ამ წარმოებაში ითამაშებს დიდ როლს“, და დასძინა, რომ საფრანგეთის კაპიტალის მონაწილეობა გამოიხატება ამ გზისთვის საჭირო კაპიტალის 80 პროცენტში!!

და აი ის წარმოება, რომლის შესახებ „პანგერმანისტი“ ზიგმუნდი შნაიდერი ერთ დროს სწერდა, რომ ის „უნდა შეიქნეს გერმანიის ქმნილებათ, რომ ამ წარმოებას, მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის დაღი უნდა ესვას“-ო, ეს წარმოება, უნდა ფეხზე დამდგარიყო საფრანგეთის კაპიტალის წყალობით. და ეს სულაც არ უშლიდა ხელს საფრანგეთის ფინანსიურ წრეებს, ორმოცი წლის განმავლობაში წყევა-კრულვით ეხსენებინათ მთელი გერმანიის ხალხი. როგორც კი გერმანიამ მიიღო ბაღდადის რკინის გზის კონცესსია, მაშინვე შეუდგა მის გაყვანას. ომის წინ უმეტესი ნაწილი ამ გზისა უკვე გაყვანილი იყო. ბაღდადის რკინის გზის წყალობით გერმანიამ მოიპოვა თავისუფალი გზა აზიაში სპარსეთის სრუტემდე, სადაც რამოდენიმე ათი წელიწადი ბატონობდა ინგლისის მსხვილი ბურჟუაზია; მეტსაც ვიტყვით, ამ გზის გაყვანით, უმდიდრეს ინგლისის ახალშენს ინდოეთს სამასი მილიონი მცხოვრებლებით გერმანია უკვე დაემუქრა. გერმანიის იმპერიალისტებს კარგათ ესმოდათ, რომ არც სპარსეთის სრუტეს დაპყრობა, არც ეკონომიური გაძლიერება ინდოეთში არ ჩაივლიდა დაუსჯელათ ინგლისის მხრივ. უმთავრესათ ამისთვის იყო, რომ გერმანია ასეთი სისწრაფით აძლიერებდა უკანასკნელ წლებში შეიარაღებას, რომელზედაც იხარჯებოდა აუარებელი ფული. ბურჟუაზიული თეორია შემდეგს გვეუბნება: „თუ გვინდა ომი აიცილო თავიდან, მუდამ მზათ უნდა იყო ომისთვის“-ო. ხელმძღვანელობდა რა ამ თეორიით გერმანიის იმპერიალიზმი ფლანგავდა ხალხის სიმდიდრეს, და ამით ხელს უწყობდა სიღარიბის, უმუშევრობის და სხვა გვარ უბედურებების გაძლიერებას. გერმანია ყოველ წელს შეიარაღების მიზნისთვის ჰფლანგავდა დიდძალს ფულს. 1883 წლიდან 1908 წლამდე, ე. ი. 26 წლის განმავლობაში გერმანიის ბიუჯეტი მოიმატა 2.625 მილიონ ფრანკიდან 9.263 მილიონ ფრანკამდე, ე. ი. მოიმატა 244 პროც.-ით. ჯარისა და სამხედრო ფლოტისთვის ხარჯები წლიდან წლამდე მატულობს. 1895 წ. ეს ხარჯი შეადგენდა 862 მილიონ ფრანკს; 1900 წ.—1.041 მ. ფრ., 1905 წ.—1.192 მ. ფრ.; 1909 წ. კი—1.574 მ. ფრ. 1912 წ., როდესაც ცხოვრებაში გაყვანილ იქნა ახალი კანონები, გერმანიის ხალხს ზურგზე დააწვა ახალი გადასახადი, რომელიც აღემატებოდა 400 მილიონ მარკას. ამ აუარებელი ხარჯის გამო, შეიარაღების გასაძლიერებლათ, გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა უკანასკნელ 20—30 წლების განმავლობაში შეიქნა პირდაპირ აუტანელი. და აი გერმანია იძულებული ხდება თითქმის ყოველ წელიწად, მიმართოს სესხისთვის სხვადასხვა სახელმწიფოებს ხარჯების დასაფარავათ.

გერმანიის გარეშე სესხი უკანასკნელ

ათეულ წლებში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

წლები		მილიონი ფრ.
1899	გერმანიის იმპერიამ ისესხა	84
1900	„ „ „	100
1901	„ „ „	375
1902	„ „ „	134
1903	„ „ „	362
1905	„ „ „	375
1906	„ „ „	325
1907	„ „ „	250
1908	„ „ „	312
1909	„ „ „	400
1910	„ „ „	340

ამ რიგათ გერმანიამ 11 წლის განმავლობაში ისესხა 3 მილიარდი ფრ., და ამ ფულიდან უდიდესი ნაწილი დაიხარჯა საზღვაო და ხმელეთის ძალთა გასაძლიერებლათ. ასეთივე ხარჯების ზრდას ჩვენ ვხედავთ გერმანიის სხვა და სხვა სახელმწიფოებში, რომელთაც, როგორც ვიცით, აქვთ საკუთარი ბიუჯეტი. 1883 წლიდან 1898 წლამდე გერმანიის სახელმწიფოები ყოველ წლივ საშუალოთ ხარჯავდენ:

1899 წ.-ან 1907-დე 221 მილ. ფრ.
1908 წ.-ან 1909-დე 1167 მილ. ფრ.

მარტო 1910 წ. გერმანიამ დახარჯა 621 მილ. ფრ. მაგრამ გარეშე სესხი, ხარჯის ზრდასთან ერთად არ იყო საკმარისი და აი გერმანიის იმპერია ისე, როგორც გერმანიის ცალკე სახელმწიფოები, ხშირათ მიმართავდენ შინაურ სესხს. ასეთი იყო მაგ. პრუსიის სესხი 1908, 1910 და სხ. წლების.

შინაური და საგარეო სესხის წყალობით გერმანიის სახელმწიფოების ვალი განსაცვიფრებლათ გაიზარდა. მარტო პრუსიის ვალმა 1890 წ-ან 1908 წ-მდე მიაღწია 4.457 მილ. ფრ., ბავარიისამ კი 768 მილ. ფრ. საერთოთ კი გერმანიის მთელი ვალი 1908 წ. აღემატებოდა 23 მილიარდ ფრანკს.

გერმანიის იმპერიალისტები არ კმაყოფილდებოდენ მარტო იმით, რომ აუარებელ ფულს ხარჯავდენ მილიტარიზმის გასაძლიერებლათ. ისინი მოითხოვდენ დაუყოვნებლივ ადამიანთა მსხვერპლებს მათი მიზნების განსახორციელებლათ. 1912 წ. დანიელ ფრიმანმა, იმპერიალისტების ერთ მეთაურთაგანმა, გამოუშვა წიგნი შემდეგი სათაურით: „მე რომ მეფე ვიყო“. ამ წიგნში ის ამტკიცებდა, რომ გერმანიასა, ერთის მხრივ, და საფრანგეთსა და ინგლისს შორის, მეორეს მხრივ, აუცილებლათ შეტაკება უნდა მოხდეს ეკონომიურ ნიადაგზეო. და ნუ თუ ჩვენ უნდა ვიცადოთ—განაგრძობდა ფრიმანი—სანამ ჩვენი მტრები მოემზადებიან და მოულოდნელათ ლახვარს გულში ჩაგვცემენო. რაც უნდა დაგვიჯდეს ომი დაუყოვნებლივ დავიწყოთ და თუ ბელგია არ მოგვემხრო, უნდა გადავლახოთ და შემდეგში მთლათ შემოვიერთოთო. მეორე მწერალი, გამოჩენილი გენერალი ფონ-ბერნგარდი თავის წიგნში ხსნიდა, თუ რას შეიცავს თანამედროვე იმპერიალიზმი; ის ამ წიგნში გულახდილათ ლაპარაკობს, ისე როგორც ფრიმანი, თუ რა სახელმწიფოებთან მოუხდება გერმანიას შეტაკება. ის სწერს: „რომ გერმანიისთვის საჭიროა ახალი ბაზრების დაპყრობა თავისი ინდუსტრიისთვის და აგრეთვე ახალი ტერიტორიების შეძენა 70 მილიონ გერმანიის მცხოვრებლებისთვის. ტერიტორიების დასაპყრობათ მას აუცილებლათ ომი მოუხდება, და ეს იქნება ომი საფრანგეთთან და ინგლისთან. ამ ომის პასუხისმგებლობა უნდა დაატყდეს სავსებით ერთის მხრივ ფრანგებს, რადგან ისინი გაჟღენთილნი არიან რევანშის იდეით, და მეორეს მხრივ ინგლისელებს, რადგან მათი ზღვაზე ბატონობა არის არა სხვა რამე, როგორც ზღვაზე თავისუფლების მოსპობა“. თვით ომის გამოცხადების რამდენიმე თვის წინეთ იმპერიალისტური ორგანო „კიოლნის გაზეთი“ სწერდა: რა აზრია, რომ ჩვენ ვიცადოთ, სანამ მტრები საომრათ მოემზადებიან, და მთავრობას მოუწოდებდა ომისთვის დაუყონებლივ მზადებას შედგომოდა.

გარდა ფინანსიური წრეებისა, ომისკენ მთავრობას მოუწოდებდენ სხვა წრეებიც განსაკუთრებით კი ერთი ნაწილი ძველი არისტოკრატიისა.

სამხედრო აბსოლიუტიზმს, რომლითაც ჰოჰენცოლლერნებმა დააგვირგვინეს გერმანიის გაერთიანების საქმე, ჰყავდა ერთგული დამცველები არისტოკრატიის იმ ნაწილში, რომელიც ვერ შეეგუა ცხოვრების ახალ პირობებს; არისტოკრატიის ეს ნაწილი, ისე როგორც ფეოდალურ წარმოების ეპოქაში, უსაქმო ხეტიალში ატარებდა დროს. კაპიტალისტურ ეპოქაში, ისე როგორც წინა ხანაში, ის გამფლანგავ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ ფლანგვა შეიძლება მაშინ, თუ შემოსავალის წყარო არსებობს; შემოსავალი კი დღითი დღე კლებულობდა, რადგან ფეოდალურ ექსპლოატაციამ თავისი დრო მოჭამა, და აი არისტოკრატიის ეს ნაწილი ვარდება ვალში; ერთი ნაწილი ფინანსისტების ვალის ქვეშ ჩავარდა, მეორემ კი დაჰყიდა ადგილ-მამული და თფილ ადგილების საძებრათ ცენტრებისკენ გაეშურა. ადგილების შოვნა კი სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან მათ დიდძალი ნათესავები ჰყავდათ ქალაქებში. სახელმწიფომ მათ თფილი ადგილები მიუჩინა, მასთანვე ისეთი ადგილები, რომელნიც არ თხოულობდენ არც დიდ ცოდნას, არც დიდ შრომას. თავად-აზნაურობით აივსო სასახლე, ადმინისტრაცია, განსაკუთრებით კი არმია. ამ უკანასკნელში—კაპიტანი პომმერანის თქმით—თავად-აზნაურობა წარმოადგენს ერთგვარ კასტას, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

ამ კასტისთვის უდიდეს ღირებულებას დედა-მიწის ზურგზე წარმოადგენს გერმანიის ჯავშნიანი მუშტი. ამ უკანასკნელ წლებში მთელი მისი მისწრაფება იქითკენ იყო მიქცეული, რომ უშრომლათ შეეძინა, რაც შეიძლება მეტი ფული, უშრომლათ ფულის შეძენა კი, მისი აზრით, შეიძლებოდა მაშინ, თუ კი გერმანია მოისურვებდა სამხედრო სეირნობას საფრანგეთში. სამხედრო პირები საფრანგეთში სამხედრო გასეირნებას უწოდებდენ პარიზისთვის ალყის შემორტყმევას და რამოდენიმე ათეული მილიარდის საფრანგეთისთვის გადახდევინებას. სამხედრო თეორეთიკოსები გეგმასაც კი ადგენდენ, თუ როგორ შეიძლებოდა საფრანგეთში შესევა.

როგორც ვნახეთ, გერმანიის იმპერიალისტები და არისტოკრატიის ნაწილი მეტათ დაინტერესებულნი იყვნენ, რომ გერმანიას ომი დაეწყო, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოს იმპერიალისტები უმანკოებას წარმოადგენდენ. ჩვენ ამას მომავალში დავინახავთ.

ი. სალაყაია.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 28 იანვარს პირველი რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრება გაიხსნა ამხ. ნინუას თავმჯდომარეობით. განიხილეს შემდეგი კითხვები: რკინის გზის მუშათა, ქონებრივი მდგომარეობა, ქვერაიონული კოლექტივი, პარტიული პროპაგანდა, პარტიული სკოლები. სანამ კრება დღის წესრიგის გარჩევას შეუდგებოდა ამხ. დოლიძემ და ჟურულმა გააცნეს კრებას ცენტ. აღმას. კომიტ. დადგენილება ამიერ-კავკასიის სეიმის და მისი შემადგენლობის შესახებ და გაზეთ „ბრძოლის“ გამომცემელ კომისიის მოქმედება.

რკინის გზის მუშათა კრიტიკულ მდგომარეობის შესახებ კრებამ დაადგინა: „ვიღებთ რა მხედველობაში რკინის გზის მუშათა უკიდურეს მდგომარეობას, ვირჩევთ დელეგაციას ცენტრ. აღმ. კომ., რომ მან ცენტ. აღ. კომ. წევრთა თანდასწრებით დაწვრილებით გააცნოს კომისარიატს ზემო მოყვანილ მუშების ქონებრივი მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ჯამაგირების უდროვო დროს დარიგების გამო, თან დელეგაციას ევალება მოაგონოს კომისარიატს შემდეგი: ყველა საზოგადო დარგების მუშებს თუ მოსამსახურეებს, თუ საკმაო თანხა არ იქნება მუშების და მოსამსახურეების ჯამაგირების დასაკმაყოფილებლათ, დაურიგდეს ჯამაგირი თანასწორათ, პროპორციონალურათ და ერთხელ და სამუდამოთ იქნას დაგმობილი უპირატესობანი.

ქვერაიონული კოლექტივის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი: ვინაიდან კოლექტივისათვის მეტათ ძნელი შეიქნა რაიონის ყველა კუთხეებში პარტიული მუშაობის მოწყობა, მოწესრიგება, კრებამ საჭიროთ სცნო იქმნას დაარსებული ქვერაიონული კოლექტივები იმ კუთხეებში, სადაც თვით რაიონული კოლექტივი დაინახავს საჭიროთ, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ქვერაიონულ კოლექტივები მუშაობდენ რაიონულ კოლექტივის გავლენის ქვეშ.

პარტიულ პროპაგანდის შესახებ, კრებამ საჭიროთ სცნო ს. დ. მ. პ. პროპაგანდისტთა წრის გაფართოება, რისთვისაც იქმნას გაგზავნილნი სახალხო უნივერსიტეტში ის ახალგაზრდა ამხანაგები, რომლებიც არ არიან საზოგადო საქმით დატვირთული.

სხვათა შორის კრებამ იქონია პარტიულ სკოლის შესახებ მსჯელობა და ერთხმათ დაადგინა: იქმნას დაარსებული პარტიული სკოლა ქართულ და რუსულ ენებზე.

ტრაპიზონი. თანახმათ კომიტეტის უკანასკნელ სხდომის დადგენილებისა ტრაპიზონის პარტიულ ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო დარჩენილი ფულით უნდა გაგვესწორებია ბათუმის ვალი (გაზეთის ფასი) და რაც დარჩებოდა უნდა გადაგვეცა საოლქო კომიტეტისთვის. უკანასკნელად კასაში იყო 1566 მ. და 69 კ.

ტრაპიზონში სხვადასხვა პირებზედ იყო დარჩენილი დაახლოვებით 500 მანეთამდე, რომლის ანგარიშიც თვით იქ დარჩენილმა კომიტეტის წევრებმა იციან. ბათუმს გადავეცი 561 მ. 69 კ. საოლქო კომიტეტს გადაუგზავნე 1000 მანეთი. ფოსტის ხარჯებიც 5 მანეთი. სულ 1566 მ. და 69 კ. ბათუმის ვალი დარჩა 699 მ. და 31 კ. რომელსაც გადაიხდიან ტრაპიზონში დარჩენილ ფულით და რაც მიაკლდებათ (დაახლოვებით 199 მ.—200 მ.) საჭირო იქნება გამოითხოვოთ საოლქო კომიტეტში გაგზავნილ ფულიდგან. მე ვფიქრობ ამხანაგები საოლქო კომიტეტის დაუხმარებლათაც შესძლებენ 699 მ. და 31 კ. მთლად გადახდას.

ტრაპიზონის კომიტეტის ხაზინადარი ივლ. ჭანტურიშვილი.

პროვინცია

აკეთი (გურია). 25 იანვარს აქ გაიმართა შეერთებული კრება გლეხთა დეპუტატების საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის და რ. ს. დ. მ. პ. აკეთის კოლექტივის წევრებისა. კრებას დაესწრო თითქმის ყველა წევრი. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: მობილიზაცია, მოხსენებები სარაიონო საბჭოების გლეხთა დეპუტატების კომიტეტის, აღმასრულებელ კომიტეტების და კოლექტივის დელეგატებისა, ზავი და დამოკიდებულება ბოლშევიკებთან. პირველ კითხვის შესახებ კრებამ, დაადგინა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში, ვინაიდან მხოლოდ მას (მობილიზაციას) შეუძლია იხსნას სამშობლო და რევოლიუცია სრულ განადგურებისაგან, როგორც შინაური მტრისაგან, ისე გარეშე. ამ საკითხის გარჩევის დროს ამხ. ლუკა ცინცაბაძემ (კომისარმა) განუცხადა კრებას, რომ ადგილობრივი მღვდლები გაფიცულნი არიან და საშუალება არ მაქვს ცნობები შევკრიბო ჯარში გასაწვევ პირების შესახებო. კრებამ ერთხმად დაადგინა: წინადადება მიეცეს ყველა ადგილობრივ მღვდლებს, რათა დაუყონებლივ მიაწოდონ კომისარს საჭირო ცნობები, უკიდურეს შემთხვევაში ძალით იქნება ცნობები ჩამორთმეული.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება გლეხთა დეპუტატების საბჭოს წევრის ამხ. დიომიდე მგელაძის. უკანასკნელმა დამსწრეთ ვრცლათ გააცნო, თუ რა საჭიროებას შეადგენს სამხედრო კომისიის (შტაბის) შედგენა ადგილობრივათ, და თუ როგორ შეიძლება ამ მიზნის ტეხნიკურათ ცხოვრებაში გატარება. კრებამ თანახმად მოხსენებისა, ამოირჩია სამხედრო კომისია ექვსი კაცისაგან შემდგარი და დაავალა მას დაუყონებლივ შეუდგეს საქმეს, ე. ი. შეაგროვოს საჭირო სიები იმ პირთა, ვინც ვალდებული არიან ჩაეწერონ სახალხო მილიციაში (18—45 წლამდის), მასთან მან ცხოვრებაში გაატაროს ყველა მუხლები დებულებისა, რომელიც ამ დღეებში იყო გამოქვეყნებული კომისარიატის მიერ სახალხო მილიციის შესახებ. სარ. აღმ. კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ეპ. მგელაძე. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ამ დღეებში ქ. ოზურგეთში შეიკრიბება სამაზრო სამიწათმოქმედო კომიტეტი, ამ კომიტეტის კრებაზე გაირჩევა საკითხი მიწების გაცემის და რეკვიზიციის შესახებ. სარაიონო კომიტეტს დაურიგებია ყველა საზოგადოებებში ბლანკები, რომლებიც უნდა შეივსოს ცნობებით, ვის რამდენი მიწა აქვს (15 ქცევაზე ნაკლები მიწები ვისაც აქვს, იმის შესახებ ცნობებს არ კრებენ), შემდეგ სამაზრო სამიწათმოქმედო კომიტეტი გადასწყვეტს ვის უნდა ჩამოერთვას მიწები და რამდენი იქნება დადებული მიწაზე ღალა. კრებამ დაადგინა დაემორჩილოს სამაზრო კომიტეტის დადგენილებას და გაატაროს უკანასკნელი ცხოვრებაში.

ს. დ. კოლექტივის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გრიშა მახარაძე. ორატორი მეტათ სამწუხარო სურათს უხატავს კრებას „იაჩეიკების“ მდგომარეობის შესახებ. ის ამბობს, რომ კოლექტივის წევრებმა არც კი იციან თუ რამდენი წევრია ამა თუ იმ „იაჩეიკაში“, რამდენი ფული არის შემოსული და სხვა. დასასრულ ის მოუწოდებს ამხანაგებს უფრო ენერგიულათ მოეკიდონ თავთავიანთ მოვალეობის შესრულებას და მიაწოდონ კოლექტივს დაწვრილებითი ცნობები „იაჩეიკების“ მდგომარეობის შესახებ, რათა საშუალება მოგვეცეს ჩვენც სწორი ცნობები მივაწოდოთ ცენტრალურ კომიტეტსო. კრებამ მიიღო მხედველობაში ამხანაგის მოხსენება და დაადგინა 26 იანვარს მოიწვიოს კოლექტივის კრება და გამოარკვიოს „იაჩეიკების“ მდგომარეობა.

ზავის შესახებ ცხარე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ამხ. გ. ოდიშარიას წინადადება: ომის გაგრძელება ყოვლათ შეუძლებელია ჩვენთვის, ვინაიდან მისთვის ყოველივე ნიადაგი გამოგვეცალა, დაუყონებლივ უნდა იქნეს ოსმალეთთან შეკრული ზავი, თუნდაც სეპარატიული, უანექსიო, უკონტრიბუციო და ერების თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული. თუ ზავის ჩამოგდება ვერ შევძელით და დარღვეულ იქნა ზემო მოყვანილი პრინციპები, ჩვენ მხათ ვართ ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ გაიმართა ცხარე კამათი. ზოგიერთი ამხანაგები მომხრე იყვნენ იმ მოსაზრებისა, რომ კიდევ გამოგვენახა რამე შემაერთებელი გზა ბოლშევიკებთან, რათა თავიდან აგვეშორებია ძმათა შორის სისხლის ღვრა. მაგრამ უმრავლესობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან ჩვენ (მენშევიკებმა და ესერებმა) ყველა საშუალებანი ვცადეთ ბოლშევიკებთან შესაერთებლათ, და ამ საშუალებებმა არაფერი ნაყოფი არ გამოიღეს, პირიქით, ამით წავათამამეთ ისინი, ჩვენ მხათ უნდა ვიყოთ მათთან საბრძოლველათ, ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთ, არა თავდასასხმელათ, არამედ თავდაცვისათვის. კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო წინადადება გულწრფელათ მიესალმოს ამიერ კავკასიის სეიმს და უსურვოს მას ნაყოფიერი მუშაობა.

გ. ხონელი.

ქვემო ქალის რაიონში (გორის მაზრა). 14 იანვარს შესდგა ქვემო ქალის რაიონის კრება, რომელსაც დაესწრო 1000 მეტი კაცი და ქალი. აქ იყვენ 27 სოფლის წარმომადგენელი. ილაპარაკეს თანამედროვე მომენტზე, სახალხო მილიციის მოწყობის და ქვემო ქალის რაიონის კომისარის არჩევნების შესახებ, მომხსენებლებმა ვრცელი სიტყვით დაუსურათეს კრებას წარსული, დაუპირდაპირეს ის დღევანდელ მომენტს. გააცნეს აგრეთვე გორში 10 იანვარს მომხდარი ინციდენტი მეოთხე ქართული პოლკის ჯარისკაცების ერთ უპასუხისმგებლო ჯგუფის მიერ და იმედი გამოსთქვეს, რომ ასეთ გაუგებრობას მოსპობს შეგნებული ძალაო. ამხ. მომხსენებლებმა კრებას გააცნეს, რომ ამიერ-კავკასია სრულიად არ არის ჩამოშორებული რუსეთისაგან, არამედ—დროებით, რადგანაც თანამედროვე მომენტმა აიძულა ამიერკავკასია თავის შინაური საქმეების მოსავლელად ცენტრთან დამოუკიდებლად ემოქმედა, მაგრამ დადგება თუ არა შესაფერისი მომენტი, საერთო სამოქმედოთ, ამიერ-კავკასიის დემოკრატია მზად არის რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იმოქმედოს რევოლიუციის გამარჯვებისათვის და დემოკრატიზმის განმტკიცებისათვის. მომხსენებლები უთითებდენ გლეხებს იმაზე, თუ რას სჩადიან ჯარისკაცების ფარაჯაში გახვეული ბნელი ძალები. ამის დასასაბუთებლად მოიყვანეს ბევრი მაგალითები. კრებას მიუთითეს იმ ამბებზე თუ რა ხდება შიდა რუსეთში; 5 იანვარს უპასუხისმგებლო ბოლშევიკების მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების გარეკაზე, ძმებთა შორის სისხლის ღვრაზე. მასთან კრებას გაუთვალისწინეს, თუ რა აუტანელ მდგომარეობაშია კერძოთ ამიერ-კავკასია. მომხსენებლებმა გააცნეს კრებას წითელ გვარდიის მნიშვნელობა და აუხსნეს მისი აუცილებელი საჭიროება და მასთან ერთად აუხსნეს სახალხო მილიციის მოწყობის აუცილებლობა. დასასრულ მომხსენებლებმა მოუწოდეს კრებას დაუჭირონ მხარი ამიერ-კავკასიის მთავრობას ყოველივე მოქმედებაში რევოლიუციის ლოღიკურ დასკვნამდე მისაყვანად. გაკვრით შეეხენ რევოლიუციონურ ტრიბუნალს, რომელიც თფილისში დაარსდა და გააცნეს კრებას მისი დანიშნულება. უკანასკნელი ორატორი ამხ. გიორგი თათარაშვილი ასურათებს ზოგიერთ მოსულ ჯარისკაცების არასასურველ საქციელს, მოხსენებების შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვებზე ე. ი. ქვემოქალის რაიონის კომისარის არჩევნებზე. დასახელებული იქნა ამხანაგი გ. თათარაშვილი, რომელიც ერთხმათ იქნა არჩეული. თანამედროვე მომენტის შესახებ, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ქვემოქალის რაიონულმა მიტინგმა, რიცხვით 1,000-ზე მეტმა კაცმა მოისმინა რა მოხსენებები, ერთ-ხმათ დაადგინა: უჭერს რა მხარს ამიერ-კავკასიის კომისარიატს და მასთან ერთად სუყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სახით, გამოსთქვამს სურვილს ხალხის საერთო შეიარაღებისათვის, რომ შექმნან მჭიდროდ, ორგანიზაციულად შეკავშირებული სახალხო მილიცია, რომელიც ერთგული დარაჯი იქნება დიადი რევოლიუციის მოპოვებულ უფლებათა და იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავისუფლებას, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან. 10 იანვარს გორში მომხდარ ინციდენტის გამო კრება ზიზღს უცხადებს ქართველ პოლკის ერთი ჯგუფის უპასუხისმგებლო ჯარისკაცების გამოსვლებს, გამოსთქვამს აღშფოთებას ამ სამწუხარო ამბის გამო და აცხადებს ნაძირალების საყურადღებოთ, რომ ხალხი არავის შეარჩენს მისი თავისუფლების შელახვას.

X.

ს. გომბორი (კახეთი). ამ ორი თვის წინათ ს. გომბორში მოვიდა ციმბირის სამთო „ბატარეია“. მან დაჰყო აქ ერთი თვე და როცა ფრონტიდან ჯარები დაიძრა, იგინიც მათ გაჰყვენ. აქ დასტოვეს ბატარეია (8 სამთო ზარბაზანი), დაახლოვებით 150—200 ცხენი, 80—100 ფურგონი და ცოტა სურსათიც.

ეხლა, იმავე ბატარეიას ოფიცრების ინიციატივით შეუდგენიათ მოხალისეთა სამთო ბატარეია. საქმე ძლიერ ცუდათ არის დაყენებული. მოხალისეებათ არიან 16—20 წლამდე, თითქმის მობილიზაციაც კი გამოაცხადეს და სულ ყველანი მიყავდათ, ვინც ხელში მოყვებოდათ, მიუხედავათ მისი ფიზიკური შეძლებისა. ზოგ მოხალისეს 8 წვრილი შვილი ყავს. მათი აზრით მოხალისეებს 30 მან. ეძლებათ თვეში და ოჯახში დარჩენილებს 10 მ., რაც ისედაც გამოცარიელებულ ხაზინისთვის არ იქნება ხელსაყრელი. ხშირი მოვლენაა ცხენების სიკვდილი, რაც ცუდი მოვლის ან ავათმყოფობის ბრალია.

რომ ბატარეიას სურსათი არ ქონებოდა გომბორში აქამდის ბევრი მშიერი იქნებოდა. სწორეთ ვისაც პური არ გააჩნდა სახლში, იმ მიზნით, რომ შინაურებიც გამოეპურებია და თვითონაც ეჭამა წავიდენ მოხალისეებათ. ამასთან ადვილი შესაძლებელია, ბატარეიის აქედან წასვლისას ბევრმა უარი განაცხადოს წასვლაზე. ხალხის გამოკვება, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში, უაღრესი ყურადღება თვით საქმის ინტერესებს უნდა მიექცეს. საზოგადო საქმე უფრო მაღლა უნდა იყოს რამდენიმე პირების ინტერესებზე. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბატარეიაში ადგილი ექნება, არა მხოლოდ თავის სარგებლისთვის (პურისთვის) წასულს, არამედ საქმით დაინტერესებულ ხალხს; საჭიროა ვისიც ჯერ არს, სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და შესაფერი ზომებიც მიიღონ მის სწორ გზაზე დასაყენებლათ.

მ. მ.

ახალ-სოფელი (გორის მაზრა). 14 იანვარს ს. ახალსოფელში გაიმართა საერთო ყრილობა. ყრილობამ ერთხმად პროტესტი და ზიზღი გამოუცხადა ვინც ქ. კავკავში არეულობა მოახდინა და სისხლი დაღვარა. აგრეთვე სასტიკი პროტესტი გამოუცხადა დამფუძნებელ კრების გარეკისათვის ბოლშევიკებს.

ამ დღესვე არჩეულ იქნა ახალი კომისარი ს.-დ. გიორგი თომას ძე სავიევი. ხალხს იმედი აქვს ის კარგათ წაიყვანს საქმეს და შრომას და ენერგიას არ დაიშურებს მოაწესრიგოს სოფელში საქმე.

აქ ლამის შიმშილობა დაიწყოს პური ნაკლებია. ჩვენი გლეხები დადიან ქართლში სიმინდის საყიდლათ, მაგრამ ვერსად შოულობენ და არ იციან რაღა ქნან. კავკავის იმედი ჰქონდათ, მაგრამ არეულობისა გამო ველარ მიდიან.

ხიონ.

ფონდი

მივიღეთ ზვანის კოოპერატივისაგან 60 მანეთი „ერთობის“ ფონდის სასარგებლოდ.

ამხ. ჩხირაძისაგან—15 მან.

ექიმი
ა. დონხინი
ყოფილ ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ა. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

შ ა ქ ა რ ი
ვინაიდან ქ. თფილისის ყველა მცხოვრებთათვის საკმაო შაქარი არ იყო, ბევრმა ვერ მიიღო იანვრის რაციონი, იანვრის ტალონები სასურსათო ბარათებისა გამოდგება თებერვლის ბოლომდე და მით მიეცემათ შაქარი.
(1—1) ქალ. თფილისის სასურსათო საქმის განსაკუთრებული საკრებულო.

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ
ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ
მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

საქართ. კოოპერატ. საყურადღებოთ
საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით 2 თებერვალს თფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიის და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. კრებები მოხდება ყველგან 2 **თებერვალს,** ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება თფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი: **გორის მაზრის კრება** ქალაქ გორში საკრებულოს დარბაზში. **ზაქათალის და სიღნაღის** სიღნაღში ქართულ დარბაზში. **თელავის და თიანეთის** თელავში შემნახველ გამსესხებელი ამხ. **ახალციხე-ახალქალაქის** ახალციხეში კოოპ. „მესხეთში“. **თფილისის** თფილისში ეროვნულ საბჭოში. **დუშეთის** დუშეთში საკრებულოში. კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.
(7—5) ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვიდა ჟურნალი
„ახალი კვალი“
ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.
თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ! 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.
ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера. Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

Во вторник 30 января выйдет первый номер соціал-демократической газеты
„БОРЬБА“
В газетѣ принимают участіе: А. Азатян, Воевада, Гальперин, Гепштейн, проф. Городенскій Н. Жордянія, И. Жорданія, Ишков, Г. Коніев, Кремер, Козлов, Л. Натадзе, Н. Рамишвили, М. Смирнов, Трейман, А. Туманов, Успенская, Н. Цинцадзе, К. Чхеидзе, Д. Шарашидзе и др.
Подписка принимается в конторѣ газеты: пассаж Манташева (Дворцовая площадь, против штаба) а также въ Тифлисском комитетѣ Р. С.-Д. Р. П. (Головинскій 12 во дворѣ) и во всѣх районных коллективах.
Подписная цѣна: 1 год--40 р., 6 мѣс.—24 р. и 1 мѣс.—4 р.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზაევის შესახვევი, № 1.